



შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის
სასწავლო უნივერსიტეტი

სამართლის ფაკულტეტი
სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

შეჯიბრებითობა და თანასწორობა სისხლის სამართლის პროცესში

ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სტუდენტი:

მარიამ ნიკოლაშვილი

ნაშრომის ხელმძღვანელი:

პროფესორი

ვენედი ბენიძე

თბილისი

2021

შინაარსი

ანოტაცია	3
Annotation	4
შესავალი	5
თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა	7
თავი II. შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპის თეორიული საკითხები	9
2.1 შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპის ცნება და მნიშვნელობა	9
2.2 სისხლის სამართლის პროცესის განვითარების ისტორია	12
2.3 ქართული შეჯიბრებითი პროცესის ისტორიული ექსკურსი	21
თავი III. შეჯიბრებითობისა და თანასწორობის როლი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში	24
3.1. მხარეთა შეჯიბრებითობა და თანასწორობა გამოძიების სტადიაზე	27
3.1.1 შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპის რეალიზების პრობლემები გამოძიების სტადიაზე	30
3.2. მხარეთა შეჯიბრებითობა და თანასწორობა სასამართლოში	43
3.2.1 მხარეთა შეჯიბრებითობა და თანასწორობა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში	49
თავი IV. საერთაშორისო კანონმდებლობა	53
4.1. შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპის მოქმედება ანგლო-ამერიკული სამართლის სისტემაში	53
4.2. შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპის მოქმედება კონტინენტური სამართლის სისტემაში	56
თავი V. კვლევის შედეგები	59
დასკვნა	61
გამოყენებული ლიტერატურა	63

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომში განხილულია შეჯიბრებითობისა და თანასწორობის არსი სისხლის სამართლის პროცესში. ჩამოყალიბებულია ცნება და მისი მნიშვნელობა სწორი მართლმსაჯულების განხორციელებისათვის. წარმოდგენილია სისხლის სამართლის პროცესის ფორმების განვითარების მოკლე ისტორია, რომელიც საშუალებას იძლევა თითოეულ მათგანზე დაკვირვებით გამოიკვეთოს ის ერთი, რომელიც ყველაზე მეტად მიესადაგება დღევანდელ რეალობას. ნაშრომში ყურადღება ეთმობა საგამომიებო მოქმედებების დროს მხარეთა უფლება-მოვალეობებს, რეალიზების პრობლემებსა და სასამართლოს როლს შეჯიბრებით სამართალწარმოებაში. ეროვნულთან ერთად, ასევე განხილულია ანგლო-ამერიკული და კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემების კანონმდებლობა, შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპის რეალიზაციის კუთხით.

სისხლის სამართლის პროცესში განხორციელებული მნიშვნელოვანი ცვლილებების შემდეგ, როგორც იყო, ინკვიზიციური პროცესიდან შეჯიბრებითზე გადასვლა, ქართულ სისხლის სამართლებრივ რეალობაში დამკვიდრდა სრულიად ახალი მოდელი. პროცესის შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპზე აგება გულისხმობს იმას, რომ საქმის ბედი დამოკიდებულია მხარეთა მომზადებასა და აქტიურობაზე, სადაც მოსამართლე პასიურ როლშია.

ნაშრომში წარმოდგენილი საკითხების ანალიზი ცხადყოფს, რომ საქმის წარმოებისას მხარეები არათანაბარ მდგომარეობაში იმყოფებიან, მაშინ, როცა სწორი მართლმსაჯულების განხორციელებისათვის, შეჯიბრებითი სამართალწარმოების პირობებში, აუცილებელია მხარეებს გააჩნდეთ თანაბარი შესაძლებლობები, ჩაატარონ საგამომიებო მოქმედებები, მოიპოვონ საჭირო მტკიცებულებები და გავლენა მოახდინონ საქმის საბოლოო შედეგზე.

მიუხედავად თანასწორობის უფლების მნიშვნელობისა, ის მაინც არ გულისხმობს მხარეების სრულ გათანაბრებას, არამედ მათთვის ისეთი თანაბარი შესაძლებლობების მინიჭებას, სადაც არცერთი მხარე არ აღმოჩნდება არსებითად არახელსაყრელ მდგომარეობაში. ყოველივეს დაწვრილებით ქვემოთ მოცემულ თავებში გავცნობით.

Annotation

The given paper discusses the essence of adversarial and parity in criminal proceedings. The concept and its meaning for the implementation of proper justice have been determined. A brief history of the development of forms of criminal proceedings is presented, which allows to identify the one that is most appropriate to today's reality through the observation of each of them. The paper focuses on the rights and obligations of the Parties during the investigative actions, the problems of fulfilment and the role of the court in the adversarial legal proceedings. In addition to the national system, the legislation of the Anglo-American and Continental European legal systems has been also discussed, in terms of the implementation of the principle of adversarial and parity.

After significant changes in the judicial proceedings, such as the transition from the judicial inquisition process to the adversarial process, a completely new model has been established in the Georgian judicial reality. Being based on the principle of adversarial proceedings and parity means that the fate of the case depends on the activity of the Parties – the process will be succeeded by those who have better evidence and are better prepared.

The analysis of the issues presented in the paper demonstrates that the Parties are in an unequal position during the proceedings, while in order to carry out due process in the adversarial judicial process, it is necessary for the Parties to have equal opportunities to conduct investigative actions, acquire the necessary evidence and have effect on the final outcome of the case.

Despite the significance of the right to parity, it still does not imply complete equality of the Parties, but rather the granting of equal opportunities to them, where neither Party finds itself in a substantially unfavourable position. We will learn more in the chapters below.

შესავალი

თემის აქტუალურობა: მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპი სისხლის საპროცესო სამართლის უმნიშვნელოვანესი პრინციპია, რომელზეც აგებულია სისხლის სამართალწარმოება. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე სისხლის სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე.¹ აღნიშნული დებულება პირველად ხაზგასმით 1995 წლის კონსტიტუციაში აღინიშნა, ხოლო მოგვიანებით, 1998 წლის 20 თებერვალს მიღებულ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში აისახა. ახალმა საპროცესო კანონმდებლობამ უარი თქვა ინკვიზიციურ პროცესზე და სამართალწარმოება შეჯიბრებითობის პრინციპზე ააგო.

საქართველოში, დღეს მოქმედი სისხლის სამართლის პროცესი 2009 წლის 9 ოქტომბერს იქნა მიღებული და მისი მთავარი მიზანი შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპზე დამყარებული სამართალწარმოების განხორციელებაა. შეჯიბრებითი პრინციპი ანგლო-ამერიკული სამართლის სისტემიდან იღებს სათავეს, მისი არსი გამოხატულია ორი მოწინააღმდეგე მხარის დაპირისპირებით, რომლებიც თანაბარი შესაძლებლობებით არიან აღჭურვილნი, ხოლო მოსამართლე არბიტრის როლშია.

შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპის არსებობის პირობებში, პროცესის მიმდინარეობისას მხარეები ატარებენ საგამოძიებო მოქმედებებს, რაც მიზანმიმართულია მათი პოზიციების განმტკიცებისათვის საჭირო მტკიცებულებების მოპოვებისკენ, რომელიც უნდა წარადგინონ სასამართლოში, რათა მოსამართლე დაარწმუნონ თავიანთ სიმართლეში.

თემის განსაკუთრებული აქტუალურობა განპირობებულია იმ რეალური უთანასწორო მდგომარეობით, რომელშიც მხარეები ექცევიან. მიუხედავად იმისა, რომ 2009 წლის შემდეგ სისხლის საპროცესო კანონმდებლობამ არაერთი ცვლილება განიცადა, რათა მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპი მაქსიმალურად რეალიზებულიყო, ის დღემდე ატარებს ხარვეზებს. განსაკუთრებულად პრობლემურია საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებისას არსებული უთანასწორო მდგომარეობა, რომელიც ერთ მხარეს, მეორესთან შედარებით, არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს. არის შემთხვევები, როცა ზოგიერთ საგამოძიებო მოქმედებას დაცვის მხარე აქტიურად ახორციელებს, რიგ შემთხვევებში მისი უფლებები შეზღუდულია და ასევე არის შემთხვევები, როცა დაცვის მხარე ზოგიერთი საგამოძიებო

¹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009, მე-9 მუხლი

მოქმედების განხორციელების შესაძლებლობას სრულიად მოკლებულია და უფლებამოსილება მხოლოდ ბრალდების მხარეს აქვს.

კვლევის მიზანი: წინამდებარე ნაშრომის მიზანია სისხლის სამართლის პროცესის ძირითადი ფორმების განხილვის შედეგად თითოეული მათგანის დადებითი თუ უარყოფითი მხარეების გამოკვეთა. ამავდროულად, კანონმდებლობაში არსებული იმ ნაკლოვანებებისა და ხარვეზების აღმოჩენა და შესწავლა, რომელიც შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპთანა დაკავშირებული, როგორც გამოძიების სტადიაზე, ისე საქამის სასამართლოში განხილვის დროს. მიეზა იმ უთანასწორო მდგომარეობების, რომლებშიც მხარეები ხვდებიან კონკრეტული საგამოძიეო მოქმედებების განხორციელების პირობებში და ასევე მოსამართლის პასიური როლის გავლენის ანალიზი სწორი მართლმსაჯულების განხორციელების კუთხით.

კვლევის ამოცანა: ნაშრომის ამოცანაა, შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპთან მიმართებით აღმოჩენილი პრობლემური საკითხების განხილვისა და ანალიზის საფუძველზე, იმ მიზეზების შესწავლა, რომლებიც მხარეებს შორის დისბალანსს იწვევენ და ოპტიმალური საშუალებებისა და სავარაუდო რეკომენდაციების შემუშავება ამ ხარვეზების აღმოსაფხვრელად, ოქროს შუალედის საპოვნელად, სადაც მხარეები მეტნაკლებად თანაბარ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან.

კვლევის მეთოდები: ნაშრომზე მუშაობისას, გამოყენებულია ისტორიული, ანალიტიკური, შედარებითი სამართლებრივი კვლევის მეთოდი. აღსანიშნავია, რომ ნაშრომის კვლევის მთავარ მეთოდს თეორიული ანალიზი წარმოადგენს. კვლევისას დამუშავდა ქართული და უცხოური სამართლებრივი ლიტერატურა, სამეცნიერო ნაშრომები, სასამართლო გადაწყვეტილებები და ნორმატიული აქტები.

თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა

ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულია ქართველი მეცნიერ-იურისტების ნაშრომები, სახელმძღვანელოები, ასევე პერიოდულ გამოცემებში არსებული სამეცნიერო სტატიები. მათ შორის საკვლევ საკითხთან მიმართებით აღსანიშნავია დავით ბენიძის „შეჯიბრებითობა სისხლის სამართლის პროცესში,“ რომელიც აღნიშნული პრინციპის გარშემო არსებული პრობლემებისადმი მიძღვნილ პირველ კომპლექსურ ნაშრომს წარმოადგენს. ამავდროულად, დეტალურადაა გაანალიზებული ყველა საკითხი, რომელიც აღნიშნულ თემატიკას ეხება.

თეორიული საკითხების დამუშავებისათვის დამეხმარა ავტორთა კოლექტივის „სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი და ცალკეული ინსტიტუტები) მეორე გამოცემა, ალექსანდრე ვაჩიშვილის „სამართლის პროცესი, ნარკვევები სისხლის სამართლის პროცესის ისტორიიდან“ 1 ნაკვეთი, მზია ლეკვიშვილის „სასამართლო პროცესი XVII-XVIII საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში,“ ასევე, კ.ფ. გუცენკო, ლ. ვ. გოლოვკო, ბ.ა. ფილიმონოვის „დასავლეთ სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი“, გაი მეფარიშვილის „ცხოვრება და კანონი“, პროფესორ მიხეილ მანიაშვილის, პროფესორ გივი აბაშიძის, ჯემალ გახოკიძის „სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილი“, მეორე გამოცემა. თითოეული მათგანი დროს განსხვავებულ შუალედშია დაწერილი, რაც საშუალებას იძლევა დავინახოთ, თუ როგორ გავლენას ახდენდა პროცესის განვითარება ავტორთა მოსაზრებებზე.

შეჯიბრებითი პროცესის არსისა და მასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების უკეთესად გააზრებისათვის გამომადგა თამარ ლალიაშვილის სამეცნიერო ნაშრომი „ანგლო-ამერიკული და კონტინენტურ ევროპული სისხლის სამართლის პროცესის სისტემების ჰარმონიული კონვერგენცია და მისი მნიშვნელობა ქართული სისხლის სამართლის სისტემისათვის“, ირინა აქუბარდიას, „მხარეთა თანასწორობა და მოსამართლის როლი შეჯიბრებით სამართალწარმოებაში“ და „შეჯიბრებითობის ქართული მოდელის ზოგიერთი ასპექტი“, ასევე, პროფესორ ალბინ ეზერის „შეჯიბრებითი თუ ინკვიზიციური პროცესი: ოპტიმალური სტრუქტურების ძიებაში.“ აღნიშნული ნაშრომები შედარებით ახალ პერიოდს მოიცავს და პრობლემებიც ახლებურად, თანამედროვე ცხოვრების კვალდაკვალაა დანახული.

ზემოაღნიშნული ნაშრომების გარდა, კანონმდებლობაში არსებული პრობლემებისა და ხარვეზების წარმოსაჩენად ასევე გამოყენებული მაქვს, ნონა თოდუას სამეცნიერო ნაშრომი „მხარეთა თანასწორობა საპროცესო კანონმდებლობის ლიბერალიზაციის კუთხით“, ვლადიმერ

მაჭარაშვილის „სადოკატო გამოძიება: თეორიისა და პრაქტიკის პრობლემები“, ლ. მსხილამის სტატია: „დაცვის მხარის როლი შეჯიბრებით სამართალწარმოებაში“.

გარდა მონოგრაფიებისა, ნაშრომში გამოყენებული მაქვს ნორმატიული მასალაც, ვინაიდან თემატიკიდან გამომდინარე, აუცილებელი იყო კანონმდებლობისათვის თვალის დევნება. ამისათვის დავიხმარე საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი და რამდენიმე სხვადასხვა კანონი, საქართველოს სისხლის სამართლის პროცესში ცვლილებების შეტანის შესახებ, ვინაიდან თვალსაჩინო ყოფილიყო ის წინგადადგმული ნაბიჯები, რომლითაც კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები დროთა განმავლობაში აღმოიფხვრა.

ნაშრომში ასევე განხილულია, როგორც საქართველოს, ისე უცხო ქვეყნების სასამართლო გადაწყვეტილებები, მათგან მნიშვნელოვანია: „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2015 წლის 29 სექტემბრის #3/1/608,609 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე“ და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება, საქმეზე ტიტკო ჩორგოლიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, №1/4/809.

ქართული იურიდიული ლიტერატურის პარალელურად, ინფორმაციული გამოდგა უცხოური ლიტერატურაც; რუსი პროფესორების ნაშრომებიდან აღსანიშნავია; Г. Гегель, „Философия права“, Ю. В. Мещеряков, „Формы уголовного судопроизводства“ და А. В. Смирнов, „Модели уголовного процесса“. ქართულ ენაზე იურიდიული ლიტერატურის სიმცირის ფონზე, საერთაშორისო კანონმდებლობის მიმოხილვისათვის, განსაკუთრებით საჭირო გამოდგა A. Duff, „The Trial on Trial: Volume 3: Towards a Normative Theory of the Criminal Trial“, ერინ ბლონდელის სამეცნიერო ნაშრომი „Victim`s Rights in an Adversary System“ და M. Craig, Bradley, „Criminal Procedure (A Worldwide Study), Second Edition“. ნაშრომი ასევე მოიცავს ინტერნეტ მასალებს და პრაქტიკულ რეკომენდაციებს.

თავი II. შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპის თეორიული საკითხები

2.1. შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპის ცნება და მნიშვნელობა

შეჯიბრებითი სისხლის სამართლის პროცესისათვის დამახასიათებელია ორი ერთმანეთზე დაპირისპირებული მხარის არსებობა. საქმის წარმოების პროცესში მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა იმით გამოიხატება, რომ პროცესში მხარეებს თავიანთი ინტერესების დასაცავად კანონით მინიჭებული პროცესუალური საშუალებების გამოყენების თანაბარი საშუალებები აქვთ.

მკვლევართა აზრით, შეჯიბრებითობა გაცილებით მეტია, ვიდრე პრინციპი. იგი განსაზღვრავს პროცესის ტიპს, ფორმას ან მოდელს, ე.ი სისხლის სამართალწარმოების სისტემის მოწყობას. აღნიშნული მოდელი წითელ ზოლად გასდევს სისხლის საპროცესო სამართლის ყველა სტადიას და ინსტიტუტს.² მ. სტროგოვიჩი მიუთითებს, რომ შეჯიბრებითობის პრინციპით განისაზღვრება პროცესის სუბიექტების მდგომარეობა, მათი უფლებები, მოვალეობები, სასამართლოსთან და ერთმანეთთან დამოკიდებულება.³

სისხლის სამართლის პროცესში შეჯიბრებითობა პირველ რიგში, გულისხმობს მხარის უფლებას, სასამართლო პროცესზე იყოს მოსმენილი. დ. ბენიძე შეჯიბრებითობას განმარტავს, როგორც ბრალდებისა და დაცვის პოზიციების სამართლიანობის დამტკიცების ძირითად საშუალებას მათი თანასწორი საპროცესო შესაძლებლობების პირობებში. შეჯიბრებითობა არის პროცესის მონაწილეთა მიერ სისხლის სამართლის საქმის გადაწყვეტის მთავარი საშუალება კანონით დადგენილი თანასწორი საპროცესო შესაძლებლობების პირობებში.⁴

შეჯიბრებითი პროცესის ცნებაში მოიაზრება მხარის უფლება, წარადგინოს საკუთარი არგუმენტები, ხოლო რაც შეეხება თანასწორობას, აქ იგულისხმება, მხარეთათვის ერთნაირი საპროცესო უფლებების მინიჭება.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, მხარეთა თანასწორობა გულისხმობს იმას, რომ ორივე მხარეს თანაბრად მიუწვდება ხელი ყველა საპროცესო უფლებაზე, ე.ი. მათ ერთნაირი საპროცესო უფლებები გააჩნიათ, მათ შორის, მტკიცებულებების მოპოვებისა და წარდგენის თანაბარი შესაძლებლობა და ისინი არ ექვემდებარებიან განსხვავებულ მოპყრობას, რაც

² И.Я. Фойницкий, Курс уголовного судопроизводства, В 2-х томах, Спб. „Альфа“, 1996, ст. 60

³ М.С. Строгович, О дознании и предварительном следствии и о едином следственном аппарате-официальная законность, 1975, N5, ст. 103

⁴ დ. ბენიძე, შეჯიბრებითობა სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2012, გვ. 20-24

რომელიმე მხარის არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩაყენებას გამოიწვევდა. მხარეთა თანასწორობა უზრუნველყოფს მთლიანი პროცესის შეჯიბრებითობას. შეჯიბრებითობა კი, თავის მხრივ, განაპირობებს მთლიანი სასამართლო პროცესის (წინა საგამომიებო ეტაპის ჩათვლით) სამართლიანობას. ამგვარად, მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვა „სწორი და სამართლიანი გადაწყვეტილების“ მიღების წინაპირობას წარმოადგენს.⁵

ვინაიდან შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე უფლებები, როგორცაა მხარის მიერ აზრის გამოთქმის, გაქარწყლებისა და პასუხის მიღების უფლება თანაბრად უნდა გააჩნდეს ორივე მხარეს, თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი ერთმანეთთან დაკავშირებულ ელემენტად იქცევა და თანასწორობა შეჯიბრებითობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს. ადამიანის უფლებათა პრევენდენტულ სამართალში, შეჯიბრებითი პროცესის უფლება ყოველთვის არ არის მკაფიოდ გამიჯნული მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპისგან.⁶

მკვლევართა ნაწილი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ მხარეთა თანასწორობა გულისხმობს მხოლოდ საპროცესო ასპექტს, ანუ მხარეები პროცესულურად არიან თანაბარნი. ისინი სარგებლობენ თანაბარი უფლებებით, გაეცნონ საქმის მასალებს, დააყენონ შუამდგომლობები და აცილებები, წარადგინონ მტკიცებულებები და მონაწილეობა მიიღონ მათ გამოკვლევაში და ა.შ.⁷

ვინაიდან, მხარეთა თანასწორობა არ არის აბსოლუტური უფლება, მთავარი მიზანი მდგომარეობს მხარეებს შორის ბალანსის უზრუნველყოფაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბრალდების ან დაცვის მხარეს არსებული უპირატესობებით არ უნდა იქმნებოდეს არსებითი უთანასწორობა. სწორედ ამასთან მიმართებით იმსჯელა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულმა სასამართლომ საქმეზე ხუდაკოვა და სხვები სლოვაკეთის წინააღმდეგ, სადაც მოსამართლემ განმარტა, რომ „პირველ რიგში, თანასწორობა ნიშნავს ორივე მხარის თანაბარ შესაძლებლობას ისეთ პირობებში წარმოადგინოს საკუთარი ინტერესები, რომელიც არ გამოიწვევს რომელიმე მხარის არახელსაყრელ, წამგებიან პოზიციაში ჩაყენებას... უფლება შეჯიბრებით პროცესსზე არ

⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2015 წლის 29 სექტემბრის #3/1/608,609 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე,“ II-19,20

⁶ Foucher vs France, N 22209/93, 1997, §36

⁷ ი. აქუბარდია, რ. გოგშელიძე, ლ. ფაფიაშვილი, სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები), მეორე გამოცემა, თბ., 2009, გვ. 150

წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას და შესაძლებელია მისი ფარგლები დამოკიდებული იყოს განსახილველი საქმის კონკრეტულ მახასიათებლებზე.⁸

პროცესის შეჯიბრებითი ხასიათის არსი და მისი მნიშვნელობა გამოიხატება, მხარეების შესაძლებლობაში, მოიპოვონ და წარმოადგინონ საკუთარი მტკიცებულებები. იმავდროულად, გაეცნონ, გამოიკვლიონ და გამოთქვან მოსაზრებები, როგორც საკუთარ, ისე მოწინააღმდეგე მხარის მტკიცებულებებსა და საქმესთან დაკავშირებულ გარემოებებზე, იმ მიზნით, რომ სასამართლო საკუთარი არგუმენტების სისწორეში დაარწმუნონ.

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულმა სასამართლომ საქმეზე - რუიზ-მატეოსი ესპანეთის წინააღმდეგ, - განმარტა, რომ „შეჯიბრებითობის პრინციპი ნიშნავს ორივე მხარისათვის თანაბარ ცოდნასა და შესაძლებლობებს, გამოთქვან საკუთარი მოსაზრება მეორე მხარის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებთან დაკავშირებით.“⁹ სწორედ მხარეთა თანაბარ შესაძლებლობას ეფუძნება შეჯიბრებითობის პრინციპი, რათა მხარეებმა სათანადო საპროცესო საშუალებების გამოყენებით, შეძლონ თავიანთი პოზიციებისათვის სასარგებლო არგუმენტების სასამართლოზე წარდგენა.

შეჯიბრებითი სამართალწარმოების მიზნის განსაზღვრა თითქოს პრობლემურია. მისი მიზანი ცალსახად არ არის ჭეშმარიტების დადგენა, თუმცა სისხლის სამართლის პროცესი საერთოდ უარს არ ამბობს ჭეშმარიტებაზე. „ჭეშმარიტება სისხლის სამართლის პროცესში გამოიხატება უტყუარობაში, დამაჯერებლობაში, რომ რაღაც ფაქტი არსებობს ან არ არსებობს.“¹⁰

შეჯიბრებითობის პრინციპის მიზანი სწორი გადაწყვეტილების მიღების ხელშეწყობაა, რისთვისაც ის ეყრდნობა მხარეების მიერ მტკიცებულებებისა და არგუმენტებისა წარმოდგენის შესაძლებლობას. სხვაგვარად, აღნიშნული პროცესი სასამართლო განხილვის მიზანს ემსახურება, რომელიც თავის მხრივ ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას წარმოადგენს.

მოსამართლემ განაჩენი უნდა გამოიტანოს გონივრულ ეჭვის მიღმა სტანდარტით. „გონივრული ეჭვის მიღმა“ - ეს არის მოთხოვნა უტყუარობის და არა ალბათობის. ამრიგად, უტყუარ ცოდნას აქვს ჭეშმარიტების მნიშვნელობა, ამიტომ გამოიყენება ასეთი ცნებები - „შეფასება“ და „შინაგანი რწმენა.“ „სწორედ პროცესუალური გადაწყვეტილების მიღების დროს მოსამართლის

⁸ Hudakova and Others v. Slovakia, N23083/05, 2010, §26-27.

⁹ Ruiz-mateos v. Spain, N12952/87, 1993, § 63.

¹⁰ Fosten, Heile, Traite de l` instruction criminelle, ou theorie du code d` instruction criminelle. En 3.Vol.V.I.Brutelles, 1863, p.5.

შინაგანი რწმენა, რომელიც მწიფდება მტკიცებულებების შეფასების შედეგად, სუბიექტურად ასახავს ჭეშმარიტების დადგომის მომენტს.¹¹

შედარებისთვის, შეჯიბრებითი პროცესის შემთხვევაში უფროა რეალური ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა, ვიდრე პროცესის სხვა ფორმების არსებობის პირობებში. ჭეშმარიტების დადგენის უპირატესობაზე ავტორები მიუთითებენ ჯვარედინი დაკითხვის მნიშვნელობას, მათი მოსაზრებით, მოწმის ჯვარედინი დაკითხვის მიზანი უსაფუძვლო ჩვენებების აღმოჩენა და გაქარწყლებაა, ეს კი ძალიან მნიშვნელოანი ფაქტორია საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად.¹² მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, აუცილებლად უნდა ითქვას, რომ შეჯიბრებით პროცესში ჩართული მხარეები მიმართულნი არიან პროცესში გამარჯვებისკენ და არა სიმართლის დადგენისკენ, თუმცა ეს არ გამორიცხავს სიმართლის დადგენის შესაძლებლობას.

2.2 სისხლის სამართლის პროცესის განვითარების ისტორია

სამართალი ეფუძნება პრინციპებს, რომელთა დაცვაც მართლმსაჯულების განხორციელების საფუძველია. სისხლის სამართლის პროცესმა, თანამედროვე ეტაპად ჩამოყალიბებამდე, ხანგრძლივი გზა განვლო. ის საუკუნეების მანძილზე იცვლებოდა და ვითარდებოდა. ძველად სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საპროცესო ფორმები არ იყო მკვეთრად გამოიხსნული ერთმანეთისგან. ეს დამახასიათებელია მხოლოდ თანამედროვე სამართლისათვის. იმ პერიოდში კი კანონის თავისებურებანი, რელიგიური ნორმები და კერძო ინტერესები არეული იყო ერთმანეთში.¹³ ყველა საქმის განხილვა ერთი და იმავე საპროცესო წესებით მიმდინარეობდა. მხოლოდ ხანგრძლივი განვითარების შედეგად იქნა ცალკე გამოიხსნული სისხლის სამართლის პროცესი, როგორც სამართლის დამოუკიდებელი დარგი.¹⁴

სისხლის სამართლის პროცესი, ისტორიული განვითარების თითოეულ ეტაპზე, ადაპტირდებოდა საზოგადოების განვითარების დონესთან. ეკონომიკა, კულტურა, რწმენა თუ სხვა

¹¹ A.B. Смирнов, Уголовный процесс, Москва 2008, ст. 66

¹² T. Weigend, Should We Search for the Truth, and Who Should Do It, North Carolina Journal of International Law and Commercial Regulation, Vol. 36, No. 2, 2011, p. 407

¹³ A. B. Смирнов, Модели уголовного процесса, 2000, ст. 27-28

¹⁴ ალ. ვაჩეიშვილი, სამართლის პროცესი, ნარკვევები სისხლის სამართლის პროცესის ისტორიიდან, 1 ნაკვეთი, თბ., 1955, გვ.6

ფაქტორები გავლენას ახდენდა პროცესის ტიპზე. დროთა განმავლობაში, სახელმწიფოთა განვითარების კვალდაკვალ, განვითარდა კანონმდებლობაც.

მეცნიერები განასხვავებენ და გამოყოფენ სისხლის სამართლის პროცესის 4 ძირითად ისტორიულ ფორმას, ესენია:

- ბრალდებითი პროცესი;
- სამმებრო-ინკვიზიციური პროცესი;
- შეჯიბრებითი პროცესი;
- შერეული პროცესი.

პროცესის თითოეული ტიპის მოკლე მიმოხილვით, თვალსაჩინო იქნება თუ რომელი ფორმაა დღევანდელ რეალობაში ყველაზე მისაღები.

ბრალდებითი პროცესი აღმოცენდა მონათმფლობელურ პერიოდში. სისხლის სამართლის პროცესი ატარებდა კერძო-შეჯიბრებით ხასიათს, რომელსაც კერძო-სასარჩელო ან ბრალდებითსაც უწოდებდნენ. ამ ისტორიული ეტაპის სისხლის სამართლის პროცესისათვის დამახასიათებელია კერძოსამართლებრივი ხასიათი, ვინაიდან ამ დროს დანაშაული ისეთ ქმედებად იყო გაგებული, რომელიც ზიანს აყენებდა მხოლოდ დაზარალებულს და არა საზოგადოებას. შესაბამისად, მხარეები იცავდნენ კერძო ინტერესებს და სასამართლოში როგორც კერძო პირები, ისე ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ესაა ყველაზე ძველი პროცესი, რომელშიც მთავარი იყო ბრალდება, რომლის გარეშეც სისხლის სამართლის საქმის წარმოება ვერ დაიწყებოდა.¹⁵

ბრალდებითი პროცესისათვის დამახასიათებელი იყო სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება დაზარალებულის ან მისი ახლობლის მიერ, რომლებიც პირადი ინტერესებით მოქმედებდნენ. შეუზღუდავი თავისუფლებით სარგებლობდა კერძო ბრალმდებელი სისხლის სამართლის პროცესში, რომლის შეხედულებაზეც იყო დამოკიდებული როგორც პროცესის დაწყება, ისე განვითარება და შეწყვეტა. ამავდროულად, მას ევალებოდა დამნაშავის მოძებნის და სასამართლოში მიყვანის ვალდებულება, ხოლო დაუსაბუთებელი ბრალდებისათვის ეკისრებოდა პასუხისმგებლობა.

დაცვის მხარეს წარმოადგენდა ბრალდებული ან მისი ახლობლები, რომლებიც ბრალდების მხარის მსგავსად, პირადი ინტერესების გათვალისწინებით მოქმედებდნენ. მნიშვნელოვანი ფაქტორია, სისხლის სამართალში პირადი პასუხისმგებლობის პრინციპის არ არსებობა, რაც შესაძლებელს ხდიდა პასუხისმგებლობა დაკისრებოდა არა თავად დამნაშავეს, არამედ მის ნათესავს.

¹⁵ დ. ბენიძე, შეჯიბრებითობა სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2012, გვ. 33

ბრალდებულს, თავისი სურვილისამებრ შეემლო ეცნო სარჩელი, ან შეწინააღმდეგებოდა მას. მისი საპროცესო უფლებები ზუსტად ბრალდების მხარის მსგავსი იყო. მხარეთა თანასწორობა მათი უფლებების თანასწორობით გამოიხატებოდა. ორივე მხარეს ეკისრებოდა ვალდებულება წარედგინათ მასალები, რომლებიც პროცესის საფუძველს შეადგენდა. ვ. მაჭარაშვილი თავის ნაშრომში აღნიშნავს, რომ ფეოდალურ საქართველოში საბრალდებო პროცესი შეჯიბრებითობის პრინციპებს ითვალისწინებდა, ვინაიდან მხარეები თვითონ მოიპოვებდნენ მტკიცებულებებს და წარადგენდნენ მათ.¹⁶

რაც შეეხება სასამართლოს საპროცესო მდგომარეობას, მას პასიური როლი ჰქონდა. ის არ ცდილობდა პროცესში ობიექტური სინამდვილე გამოერკვია, ვინაიდან ეს არ იყო სასამართლო წარმოების მთავარი მიზანი. საქმის გადაწყვეტა მხარეთა შეხედულებებზე იყო დამოკიდებული.¹⁷ სასამართლო მხოლოდ სისხლისსამართლებრივი სარჩელის ფარგლებში მოქმედებდა, მას საკუთარი ინიციატივით მტკიცებულებების შეგროვების უფლებამოსილება არ გააჩნდა.

აღსანიშნავია, რომ ძველი დროის საზოგადოების განვითარების დონე პირდაპირპროპორციულია ბრალდებით პროცესში მტკიცების ხერხებთან, როგორცაა ორთაბრძოლა ან ფიცის დადება. სიმართლე დგინდებოდა პაექრობაში გამარჯვებული მხარით. აღნიშნულ პერიოდსა და პირობებში შეჯიბრებითობა მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდა. მის მთავარ მიზანს სამაგიეროს გადახდა წარმოადგენდა. ბრალდებული მართლდებოდა სხვადასხვა ფიზიკური ტანჯვის გადატანის შემთხვევაში, ან მაშინ, როცა მას მხარს დაუჭერდნენ რწმუნებულები, რომლებიც ფიცის უტყუარობას დაადასტურებდნენ. სისხლის სამართლის პროცესის აღნიშნული ფორმა სხვადასხვა დროს მოქმედებდა თითქმის ყველა ქვეყანაში.

სისხლის სამართლის პროცესის **სამძებრო, იგივე ინკვიზიციური** ტიპი არის სისხლის საპროცესო სამართლის განვითარების შემდეგი ეტაპი. ის კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემის მქონე ქვეყნების სისხლის სამართლის პროცესისთვისაა დამახასიათებელი. აღნიშნული პროცესი, რომელიც ბრალდებითის მსგავსად მონათმფლობელურ საზოგადოებაში წარმოიშვა, გავრცელდა აბსოლუტიზმის ეპოქაში. ავტორები მიუთითებენ, რომ სამძებრო პროცესის განვითარება გამოწვეული იყო, უპირველეს ყოვლისა, ვაჭრობის გაძლიერებული დაცვის აუცილებლობით.¹⁸

¹⁶ ვ. მაჭარაშვილი, საადვოკატო გამოძიება: თეორიისა და პრაქტიკის პრობლემები, თბ., 2018, გვ. 90.

¹⁷ Ю. В. Мещеряков, Формы уголовного судопроизводства. 1990. ст. 16.

¹⁸ М. А. Чельцов-Бебутов, Очерки по истории суда и уголовного процесса в рабовладельческих, феодальных и буржуазных государствах, Т. 1. М. 1957, ст. 211

მე-17-18 საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში, საბრალდებო პროცესის ტიპი იყო გავრცელებული, თუმცა სამძებრო ე.წ ინკვიზიციური პროცესისათვის დამახასიათებელი ნიშნებიც შეიმჩნეოდა. პროცესის ეს ტიპი გამოიყენებოდა მაშინ, როდესაც ადგილი ჰქონდა სახელმწიფოს ან მეფის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების გამოძიებას. საქმეს იძიებდნენ ასევე სასამართლოსთან არსებული სპეციალური მოხელეები - იასაულები. მათ გარდა საგამომძიებო ფუნქცია შესაძლოა სხვა პირებსაც დაკისრებოდათ.¹⁹

ინკვიზიციური პროცესისათვის დამახასიათებელია ორი მთავარი პრინციპი,- ოფიციალურობა (თანამდებობრივი ინიციატივა), რომელიც გულისხმობს თანამდებობის პირებისა და სამართალდამცავი ორგანოთა ვალდებულებას, დაინტერესებული პირებისგან დამოუკიდებლად მიიღონ გადაწყვეტილებები და თავიანთი ინიციატივით დაადგინონ ჭეშმარიტება. ხოლო მეორე მნიშვნელოვანი პრინციპია ინსტრუქციულობა, როგორც სისხლის სამართლის საპროცესო მოქმედებების დეტალური განსაზღვრება. ერთი მხრივ, ოფიციალურობა განსაზღვრავს საქმის მიმართულებას, ხოლო მეორე მხრივ, ინსტრუქციულობა მიუთითებს თავად პროცესის მიზნის მიღწევის გზასა და ხერხებზე. ამ გარკვეულ ჩარჩოებზე მითითებით კი, იზღუდება სახელმწიფო ორგანოს ძალაუფლება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ტრადიციულად, ყველა სახის ინკვიზიციური პროცესი ორი საერთო ნიშნით ერთიანდება: 1. Indagatio criminis, რაც გულისხმობს საიდუმლო გამოძიების (inquisition - enquiry, inquest) გზით დანაშაულის ოფიციალურად (სამსახურეობრივად) გამოძიებას და 2. Veritas delicti, რაც ნიშნავს მატერიალური ჭეშმარიტების დადგენას.²⁰

რეფორმირებულ ინკვიზიციურ პროცესში indagatio და veritas (გამომძიების წარმოების ვალდებულებისა და მატერიალური ჭეშმარიტების დადგენის პრინციპებს) კვლავ ცენტრალური ადგილი უკავია, თუმცა, პროცესი ანგლო-ამერიკული სისტემის მსგავსად, აკუზატორულია, ვინაიდან ბრალდება „accusation“ (ბრალდების მონოპოლია) საქმის განმხილველი სასამართლოსაგან განსხვავებული ინსტრუქტის – ბრალდების ორგანოს (მაგალითად, პროკურატურის) ხელშია მოქცეულია. დღეისათვის, თანამედროვე ინკვიზიციურ პროცესში ინკვიზიციური ელემენტები სიმართლის დადგენისაკენაა მიმართული.²¹

¹⁹ მ. ლეკვეიშვილი, სასამართლო პროცესი XVII-XVIII საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში. თბ., 1963, გვ. 108-109

²⁰ T. Wetzstein, Heilige vor Gericht, Das Kanonisationsverfahren im europäischen Spätmittelalter, 2004, S. 158

²¹ თ. ლალიათვილი, ანგლო-ამერიკული და კონტინენტურ-ევროპული სისხლის სამართლის პროცესის სისტემების ჰარმონიული კონვერგენცია და მისი მნიშვნელობა ქართული სისხლის სამართლის სისტემისათვის, ჟურნალი “მართლმსაჯულება და კანონი,” N4. 2016, გვ. 22

პროცესის სამძებრო ტიპის არსი და მისი მთავარი ნიშანი არის საჯარო საწყისის მიერ კერძოს შთანთქმა. ეს ნიშანი კი პროცესის ძირითად მონაწილეთა საპროცესო მდგომარეობაში გამოიხატება.²² ინკვიზიციურ მოდელში ცენტრალური ადგილი უჭირავს მოსამართლეს და არა მხარეებს.

სამძებრო-ინკვიზიციურ პროცესში მოსამართლეს აქვს შესაძლებლობა დამოუკიდებლად ჩაატაროს სასამართლო გამოძიება, რათა ყოველმხრივ სრულად და ობიექტურად გამოარკვიოს საქმის ნამდვილი გარემოებანი და ამ გზით დაადგინოს ჭეშმარიტება. ამ მიზნით, თუ მხარეთა წარდგენილი მტკიცებულებები საკმარისი არ არის, ის უფლებამოსილია მოიპოვოს და გამოიკვლიოს ყველა მნიშვნელოვანი მტკიცებულება. როგორც ავტორები აღნიშნავენ, სამძებრო (ინკვიზიციური) წესების თანახმად, მოსამართლე, თავის ფუნქციებთან ერთად, იმავდროულად უნდა ახორციელებდეს გამოძიებლის, ბრალმდებელისა და გარკვეულწილად დამცველის ფუნქციებს. ძველად, ბრალდებულს არ ჰქონდა დაცვის უფლება. იგი მიჩნეული იყო არა პროცესის სუბიექტად (მონაწილედ), არამედ მის ობიექტად. საერთოდ არ იყო საუბარი დაცვის უფლებაზე, ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით.²³

ვინაიდან სიმართლის დადგენის ვალდებულება ეკისრება სასამართლოს, მანვე უნდა გამოიკვლიოს ბრალდებულის, როგორც გამამტყუნებელი ისე გამამართლებელი გარემოებანი. სხვა სიტყვებით, საქმის არსებითი განხილვისას მისაღები გადაწყვეტილებისათვის მტკიცებულებების მოპოვება და გამოკვლევა სწორედ სასამართლოს ამოცანაა, მასვე ეკისრება ბრალისა და სასჯელის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

სამძებრო პროცესის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მასში ჩნდებიან განსაკუთრებული თანამდებობის პირები, რომლებიც შემდგომ გამოძიებლად და პროკურორად იწოდებიან. საფუძველი ეყრება სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვის ინსტიტუტს. ინკვიზიციურ პროცესში განსაკუთრებით დეტალურად ხდება მისთვის ყველაზე მთავარი - წინასწარი გამოძიების სტადიის დამუშავება, რომელიც იყოფა საერთო, შემაჯამებელ და სპეციალურ ეტაპებად.²⁴ საერთო გამოძიება დანაშაულის მოვლენაზე მიმდინარეობს, ხოლო, სპეციალური გამოძიება ხორციელდება განსაზღვრულ პირთა წრის მიმართ.

აღსანიშნავია, რომ თავად კერძომეჯიბრებითი პროცესის შეცვლა სამძებრო პროცესით, იყო ლოგიკური და კანონზომიერი, რადგან ადამიანი განვითარებასთან ერთად, მივიდა დასკვნამდე,

²² Ю. В. Мещеряков, Формы уголовного судопроизводства, 1990, ст. 22

²³ კ.გ. გუცენკო, ლ. ვ. გოლოვკო, ბ.ა. ფილიმონოვი, დასავლეთ სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბ., 2007, გვ. 12

²⁴ დ. ბენიძე, მეჯიბრებითობა სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2012, გვ. 52

რომ დანაშაული არ იყო მხოლოდ დაზარალებულისა და მისი გვარისათვის საზიანო, არამედ გავლენას ახდენდა მთელ საზოგადოებაზე. შესაბამისად, სამმებრო (ინკვიზიციურმა) პროცესმა დაანგრია სასამართლო წარმოების კერძო ხასიათი და ამით საფუძველი ჩაეყარა თანამედროვე საჯარო-შეჯიბრებით პროცესს.

შეჯიბრებითი პროცესის ტიპი, სისხლის საპროცესო სამართლის განვითარების მესამე ეტაპად მოიხსენიება. როგორც უკვე აღინიშნა, საპროცესო სამართალი სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვაგვარი იყო და გარკვეული თვალსაზრისით პირდაპირ უკავშირდებოდა საზოგადოების განვითარების დონეს. სამმებრო პროცესიდან საჯარო-შეჯიბრებით პროცესზე გადასვლა ბურჟუაზიული რევოლუციის პერიოდში მოხდა. როგორც დ. ბენიძე აღნიშნავს, საზოგადოების შემდგომმა პროგრესებმა პიროვნების ფართო უფლებების რეალიზაცია გამოიწვია. ადამიანის თავისუფლების შედარებით მაღალი ხარისხი დამახასიათებელია თანამედროვე საჯარო-შეჯიბრებითი ტიპისთვის. იგი არის განვითარების მესამე საფეხური, ძველი კერძო-შეჯიბრებითი და სამმებრო პროცესების სინთეზი, რომელიც არა მარტო მხარეთა კამათის სახით წარმოჩნდება, არამედ საზოგადოებრივი ინტერესების დაცვასაც უზრუნველყოფს. თუ კერძო-შეჯიბრებით პროცესში უპირატესია კერძო საწყისი, ხოლო სამმებროში ასეთი მდგომარეობა საჯაროს უკავია, საჯარო-შეჯიბრებითი ტიპის პროცესის საფუძველია მათი ნაზავი.²⁵

შეჯიბრებითობის პრინციპმა, რომელიც საერთო სამართლის ქვეყნების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია, მეთერთმეტე საუკუნიდან მოყოლებული ბევრი ცვლილება განიცადა. ავტორები მიუთითებენ, რომ 1100 წლიდან, მშვიდობიანობის შესანარჩუნებლად ინგლისის სამეფომ გადაწყვიტა სასამართლოში გაეძლერებინა გვირგვინის გავლენა. ზოგიერთი დანაშაული, როგორებიცაა მკვლელობა, პიროვნების წინააღმდეგ მიმართული სერიოზული დანაშაულები, ქურდობა, აალება და ა.შ, აღიარებული იქნა როგორც სამეფო კარის ხელყოფა.²⁶ ამის გამო, შეიქმნა შერიგებიდა და სამეფო სასამართლოების ინსტიტუტები და გამოჩნდა ნაფიც მსაჯულთა პირვანდელი ჩანასახები.

1400-დან 1700 წლებამდე არსებული პერიოდი, შეჯიბრებით სისხლის სამართლის პროცესში, აღიარებულია, როგორც ყველაზე გარდამტეხი ნაბიჯები. პროცესის მსვლელობაში აქტიური ადგილი ეკავათ შერიგებსა და სამეფო სასამართლოებს. დაზარალებული კვლავ აქტიურად მონაწილეობდა სამართალწარმოებაში, რომელსაც ევალებოდა ბრალდებულის

²⁵ დ. ბენიძე, შეჯიბრებითობა სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2012, გვ.55

²⁶ D. Seipp, 'The Distinction between Crime and Tort in the Early Common Law', Boston University Law Review, Vol. 76, 1996, P. 59

შეპყრობა და წარმოდგენა, მტკიცებულებების შეგროვება, მოწმეების მოძიება, მოწვევა და დაკითხვა.

გასაკვირი არ არის, რომ ადრეულ შეჯიბრებით სისხლის სამართლის პროცესს გააჩნდა დღევანდელისგან განსხვავებული ნიშნები. მათგან შესაძლებელია გამოიყოს რამდენიმე მნიშვნელოვანი:

- მსაჯულებს შეადგენდა მოსახლეობა, რომელიც წყვეტდა გადაეცათ თუ არა საქმე სამეფო სასამართლოსთვის განსახილველად.
- ბრალდება ხდებოდა უშუალოდ სასამართლო პროცესის მსვლელობისას. მანამდე ბრალდებულს აკავებდნენ რათა არ ჰქონოდა შანსი მოემზადებინა არგუმენტები თავის დასაცავად, შესაბამისად, არც ის იცოდა, რისთვის ედებოდა ბრალი;²⁷
- მოსამართლეები ერეოდნენ პროცესის მსვლელობაში: კითხავდნენ მოწმეებს, ერეოდნენ მტკიცებულებების წარდგენაში, მონაწილეობდნენ მსაჯულების მიერ გადაწყვეტილების მიღებაში, აპროტესტებდნენ მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს;²⁸
- ბრალდებული არ სარგებლობდა ადვოკატის მომსახურებით, აღნიშნული მოვალეობა შეთავსებული ჰქონდა მოსამართლეს;
- არ არსებობდა უდანაშაულობის პრეზუმფცია და არც მტკიცებულების შეფასების სტანდარტები.²⁹

დროთა განმავლობაში განხორციელებულმა რეფორმებმა, რომლებიც პირველ რიგში, მიმართული იყო დანაშაულობის წინააღმდეგ, წარმოშვა დღევანდელი შეჯიბრებითი პრინციპი. ამის მაგალითია, 1800 წლის დასაწყისისთვის სახელმწიფოს მიერ მართული საპოლიციო ძალების შექმნა. აღნიშნული ძალები, მტკიცებულებების მოპოვების კუთხით ბევრად ეფექტური აღმოჩნდა, დაზარალებულთან მიმართებით, თუმცა ამას მეორე მხარეც ჰქონდა, - პოლიცია მტკიცებულებების უტყუარობას ვერ აფასებდა, რაც შესაძლებელს ხდიდა სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებისას სერიოზული შეცდომები დაეშვა.

მორიგი მნიშვნელოვანი ცვლილება ეხება 1836 წელს გაუქმებულ ყველა პირობას, რომელიც თავისი არსით აბრკოლებდა ბრალდებულის ადვოკატის დასწრების უფლებას. ამან გამოიწვია

²⁷ A. Duff, *The Trial on Trial: Volume 3: Towards a Normative Theory of the Criminal Trial*, Hart Publishing, 2007 P. 32

²⁸ იქვე, გვ. 35

²⁹ G. Durston, 'The Inquisitorial Ancestry of the Common Law Criminal Trial and the Consequences of its Transformation in the 18th Century' (1996) 5 *Griffith Law Review* 177, 185–186

<http://www.austlii.edu.au/au/journals/GriffLawRw/1996/7.pdf> უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 19.06.2021

მტკიცებულებების გამოკვლევისა და ჯვარედინი დაკითხვის ინსტიტუტის გამოჩენა. ამავდროულად დამკვიდრდა დუმილის შენარჩუნების უფლება, რაც ავალდებულებდა ბრალდების მხარეს, რომ ეწარმოებინა ბრალდება.

დღეს არსებული მიდგომით, შეჯიბრებითი ხასიათის პროცესისათვის დამახასიათებელია, მხარეთა კამათი, ამასთანავე აღსანიშნავია, რომ პროცესის მონაწილენი თანასწორუფლებიან მხარებად ითვლებიან. შეჯიბრებითობის პრინციპის მოქმედებისას ხდება ბრალდების და დაცვის ფუნქციების გამოყოფა და მათი გამიჯვნა ერთმანეთისაგან, სასამართლოს კი დომინირებული როლი აქვს გადაწყვეტილების მიღებაში.³⁰

შეჯიბრებითი პროცესისათვის, რომელსაც ასევე ადვერსარული პროცესის მოდელსაც უწოდებენ, დამახასიათებელია ორი ერთმანეთზე დაპირისპირებული მხარის (ბრალდებისა და დაცვის) არსებობა. როგორც ა. ეზერი აღნიშნავს, მათ უნდა გამოიძიონ თითოეული მნიშვნელოვანი ფაქტი, მოიკვლიონ ამ ფაქტების მტკიცებისათვის საჭირო მტკიცებულებები და ბოლოს, ისინი სასამართლოს წარუდგინონ. ამგვარად, საქმის გარემოების გამოძიება მხარეების საქმეა. ფაქტობრივი გარემოებების წარმოდგენისათვის მტკიცებულებების ჩათვლით, რომლის საფუძველზეც სასამართლო გადაწყვეტილებას გამოიტანს, ისინი არიან პასუხისმგებელნი.³¹

შეჯიბრებითი პროცესის ყველაზე მნიშვნელოვანი განმასხვავებელი ნიშანი ინკვიზიტორ პროცესთან მიმართებით, არის სწორედ მოსამართლის პასიური როლი, რომელიც მხოლოდ არბიტრის როლში გამოდის, ვინაიდან არ მონაწილეობს უშუალოდ მტკიცებულებების მოპოვებასა და გამოკვლევაში. მისი ვალდებულებაა მხარეთა მიერ წარდგენილი მტკიცებულებები შეაფასოს და მხოლოდ ამ მტკიცებულებებზე დაყრდნობით გადაწყვიტოს საქმე. პროცესის მიმდინარეობისას სასამართლოს ვალდებულებაა, კანონით განსაზღვრული პროცესის წარმოების წესების დაცვის კონტროლი მხარეთა მიერ.

ცალსახად უნდა ითქვას, რომ დღეს, მკაცრად განსაზღვრული წმინდა შეჯიბრებითი პროცესი არ გვხვდება ბევრი ქვეყნის საპროცესო მოდელში. მიუხედავად ზოგადი ფორმულირებისა, თითოეულ ქვეყანას გააჩნია ინდივიდუალური, სპეციფიკური ნიშნები, რისი გავლენითაც ხდება ადვერსარული პროცესის მისადაგება ცხოვრების წესთან და მისი განხორციელება ადგილობრივ კანონმდებლობაში. ამავდროულად, ქვეყნები განიცდიან

³⁰ ი. აქუბარდია, მხარეთა თანასწორობა და მოსამართლის როლი შეჯიბრებით სამართალწარმოებაში, მზია ლეკვეიშვილის 85 წლის საიუბილეო კრებული, თბ, 2017, გვ. 130

³¹ ა. ეზერი, შეჯიბრებითი თუ ინკვიზიტორული პროცესი: ოპტიმალური სტრუქტურების ძიებაში. გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი, 2019, გვ. 76-77

<https://dgstz.de/storage/documents/gyl9rm5IwyTSsMVtxwoOdgWIu9yj2ePFNGnCX04P.pdf>

გადამოწმებულ იქნა 19.06.2021

უკანასკნელად

ერთმანეთის გავლენას და ნაციონალისტურ ნიშნებთან ერთად, ითავსებენ გარე ელემენტებსაც. აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის პროცესის შეჯიბრებითი ფორმა, თავისი არსით, განვითარებულ, დემოკრატიულ საზოგადოებას შეესაბამება.

მეოთხე საპროცესო ფორმა, - **შერეული პროცესი**, სისხლის სამართლის პროცესის ორი ძირითადი ფორმის - საბრალდებოსა (დაფუძნებული მხარეთა შეჯიბრებითობაზე) და ინკვიზიციური, ანუ სამძებრო პროცესის შემდეგ ჩამოყალიბდა და სწორედ შეჯიბრებითი და ინკვიზიციური ელემენტების ერთმანეთთან შერევითა და ამ ორი პროცესის ურთიერთგავლენით შეიქმნა.

„შერეულის“ ტერმინით თავდაპირველად იწოდებოდა მე-19 საუკუნეში წარმოშობილი ფრანგული მოდელი, რომელმაც გააერთიანა 1670 წლის „ორონანსზე“ დაფუძნებული წინასწარი გამოძიება და ინგლისურ მოდელზე მოწყობილი შეჯიბრებითი სასამართლო წარმოება.³² საფრანგეთის სასამართლო წარმოების აღნიშნული ფორმა გავრცელდა კონტინენტური ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში, რაც გამოწვეული იყო საფრანგეთის კულტურული გავლენით სხვა ქვეყნებზე.

ჯერ კიდევ 1864 წლის სასამართლო რეფორმის გატარების შემდეგ, მეფის რუსეთმა ინკვიზიციური წესი გააუქმა. მის ნაცვლად სისხლის სამართლის პროცესში გამოყენებულ იქნა ფრანგული ტიპის შერეული წესი, რომელიც წინასწარ და საბოლოო ეტაპებად იყოფოდა.³³ ამ პერიოდში შეიქმნა სახალხო წარმომადგენლისა და საბრალდებო ხელისუფლებისგან შემდგარი სასამართლო. წინასწარ ეტაპზე მხარეები არ არსებობდნენ და არც თანაბარი უფლებები ჰქონდათ, ხოლო საქმის საბოლოო განხილვის ეტაპზე კი, პროცესი შეჯიბრებით ხასიათს ატარებდა. აქედან გამომდინარე, შერეული პროცესისათვის დამახასიათებელია ორ სტადიად: წინასწარ და დამამთავრებელ (სასამართლო განხილვა) წარმოებად გამოყოფა. საიდანაც, პირველს ახასიათებს ინკვიზიციური პროცესისათვის მახასიათებელი ნიშნები, ხოლო მეორე კი, შეჯიბრებითობის საფუძვლებზეა აგებული.

ზემოაღნიშნული პროცესის ფორმას ახასიათებს ცალმხრივი გამოძიების პროცესი. სამძებრო პრინციპიდან გამომდინარე, გამოძიებას ახორციელებს პოლიცია პროკურატურის ზედამხედველობით, ან თავად პროკურატურა. რაც შეეხება სასამართლო განხილვას, აქ მხარეები თანაბარ პირობებში უპირისპირდებიან ერთმანეთს. ნეიტრალურ სასამართლოს წარუდგენენ მტკიცებულებებს და ცდილობენ თავიანთი პოზიციის სისწორეში დაარწმუნონ. თავის მხრივ,

³² დ. ბენიძე, შეჯიბრებითობა სისხლის სამართლის პროცესში. თბ., 2012, გვ 63

³³ იქვე, გვ. 66

სასამართლოს ვალდებულებაა უზრუნველყოს პროცესის სწორი მიმართულებით წარმართვა, მხარეების თანაბარ პირობებში ჩაყენება და სამართლიანი სასამართლო განხილვა.

ისტორიულად, შერეული ტიპის პროცესში ერთიანდება, როგორც ძველი ბრალდებითი, ისე შუა საუკუნეების სამმებრო და ასევე ინგლისისა და კონტინენტური ევროპის შეჯიბრებითი ტიპები. მე-20 საუკუნის ბოლოდან კი, შერეული პროცესის მოდელი აერთიანებს მხოლოდ ინკვიზიური და შეჯიბრებითი პროცესების მოდელებს.

2.3 ქართული შეჯიბრებითი პროცესის ისტორიული ექსკურსი

ქართულ სამართლებრივ სივრცეში შეჯიბრებითობის წარმოშობის განსაზღვრებისათვის მნიშვნელოვანია, თვალი მივადევნოთ სისხლის სამართლის პროცესის ისტორიულ განვითარებას. 1921 წელს საბჭოთა რუსეთის არმიის საქართველოში შემოჭრისა და თბილისის აღების შედეგად, ქვეყანაში კომუნისტური მმართველობა დამყარდა და ჩამოყალიბდა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. შედეგად მოხდა ის, რომ ქართული იურისპრუდენცია, მეცნიერება, კანონმდებლობა თუ სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, სრულიად მოექცა საბჭოთა ზეგავლენის ქვეშ.

1922 წელს საბჭოთა კავშირში მიიღეს პირველი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, სადაც მართლმსაჯულების წესის სისტემატიზება და რეგლამენტირება ხდებოდა. ამის შემდეგ, სასამართლო სისტემის სრულყოფილების მიზნით, 1923 წელს ახალი სისხლის სამართლის პროცესი მიიღო საკავშირო ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა. ზეგავლენის შედეგად, 1923 წელს საქართველოში პირველი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მიიღეს. მასში მოცემული იყო შეჯიბრებითობის ის ძირითადი დებულებები, რომელიც რუსეთის კოდექსის მიერ რეგლამენტირდა.

1924 წელს მიიღეს საბჭოთა კავშირის სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის ძირითადი საწყისები, რომლებზე დაყრდნობითაც, საბჭოთა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი გადაიხედა. დ. ბენიძე აღნიშნავს, რომ ამ დროს, ყველა რესპუბლიკისა და კავშირის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა სასამართლო სხდომათა საჯაროობის, ზეპირი მართლმსაჯულების, მისი უშუალოების, სასამართლო პროცესის შეჯიბრებითობის,

მოსახლეობის უმრავლესობის ენაზე საქმეთა წარმოების პრინციპზე იყო აგებული.³⁴ პირები, რომლებიც არ ფლობდნენ უმრავლესობის ენას, სარგებლობდნენ თარჯიმნის უფლებით.

მიუხედავად განხორციელებული ცვლილებებისა, საბჭოთა პერიოდში ისეთი კანონებისა და ნორმატიული აქტების მიღება ხდებოდა, რაც გამოძიებას, ბრალდებულის დაცვის უფლებასა და სასამართლოში საქმის განხილვას ზღუდავდა. საფუძვლის გარეშე ხდებოდა სისხლის სამართლის საქმეების გამოძიებისა და განხილვის საპროცესო წესების გამარტივება, რაც საბოლოოდ იწვევდა ცალკეულ პირთა რეპრესიებს.

1961 წელს საქართველოში ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მიიღეს. ამ კოდექსის მიზნებისათვის, მნიშვნელოვანი იყო არა მხარეთა შეჯიბრებითობა, არამედ, წინასწარი გამოძიება, პროკურატურისა და სასამართლოს აქტიური მონაწილეობა, რათა ერთად ებრძოლათ დანაშაულის აღკვეთისა და პრევენციისათვის.

ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდი, საქართველოს ისტორიაში სამართლებრივი განვითარების მხრივ, მოიცავს მე-20 საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს, როცა დამოუკიდებელ საქართველოში დაიწყო სამართლებრივი რეფორმების განხორციელება. ვინაიდან დემოკრატიული სახელმწიფო საჭიროებდა შესაბამის საკანონმდებლო ბაზის არსებობას, სწორედ ახალი კანონმდებლობით განისაზღვრებოდა ტოტალიტარული რეჟიმის მიმდევრად დარჩებოდა ქვეყანა, თუ დემოკრატიულ კურსს აირჩევდა. ამ კუთხით, პირველი ნაბიჯი 1995 წლის 24 აგვისტოს მიღებული კონსტიტუციით გადაიდგა, რომელშიც არაერთი დემოკრატიული ღირებულებების მქონე დებულება აისახა.

სიახლეები შეეხო სისხლის სამართალსაც და შეჯიბრებითი პრინციპის შესახებ პირველი ჩანაწერიც, სწორედ 1995 წლის კონსტიტუციაში გვხვდება, რომლის 85-ე მუხლის მე-3 პუნქტში ხაზგასმით აღინიშნა, რომ “სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე.”³⁵ ეს დებულება შესაბამისად გამოვლინდა 1998 წლის 20 თებერვალს მიღებულ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში. აღნიშნული კოდექსის მიღებით უარი ეთქვა ინკვიზიციურ პროცესს, რომელიც ადამიანების უფლებების შეზღუდვისა და ავტორიტარული რეჟიმის განმტკიცების კარგი საშუალება იყო.

1998 წლის საპროცესო კანონმდებლობამაც განსაზღვრა საჯაროობა და დისპოზიციურობა, - ის მნიშვნელოვანი პროცესუალური პრინციპები, რომლებიც სისხლის სამართლის პროცესის შეჯიბრებითობასთან პირდაპირკავშირშია. ამდენად, სხვა პრინციპებთან ერთად, სისხლის

³⁴ დ. ბენიძე, შეჯიბრებითობა სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2012, გვ. 69

³⁵ საქართველოს კონსტიტუცია, 1995

სამართალწარმოების ძირითად პრინციპებად პირველად მიიღეს შეჯიბრებითობა და თანასწორობა, რომელიც სისხლის სამართლის პროცესის მე-15 მუხლში იყო მოცემული. აღნიშნული კოდექსით შეჯიბრებითობა თანაბრად იყო დაცული, როგორც წინასწარი გამოძიების, ისე სასამართლო გამოძიების დროს. ამავდროულად, მხარეების თანასწორობა ქმნიდა იმის პირობას, რომ მონაწილეობა მიეღოთ სამართალწარმოებაში და თავიანთი პოზიციები მტკიცეულებათა წარდგენის გზით დაეცვათ.

წინამდებარე კოდექსზე დაკვირვებისას გ. მეფარიშვილი აღნიშნავს, რომ მიუხედავად მასში უწყებრივი ინტერესების გავლენის არსებობისა, 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს უამრავი დადებითი მხარე ჰქონდა. ამ საკანონმდებლო აქტმა გაუძლო ყველაზე მძიმე, საწყის პერიოდს და საერთაშორისო ორგანიზაციების მოწონება და აღიარება დაიმსახურა. რაც მთავარია, ეს კოდექსი დიდი ხნის განმავლობაში ადამიანთა უფლებების დაცვის გარანტი იყო.³⁶

დროთა განმავლობაში სისხლის სამართლის პროცესში შეტანილი ცვლილებებისდა გამო, დღის წესრიგში დადგა ახალი საპროცესო კოდექსის მიღების საკითხი. პროექტზე მუშაობა დაიწყო 2006 წელს და ხანგრძლივი დისკუსიებისა და განხილვის შემდეგ, პარლამენტმა ის 2009 წლის 9 ოქტომბეს მიიღო, რომელიც 2010 წლის 1 ოქტომბრიდან ამოქმედდა.

ზემოაღნიშნული რეფორმების ძირითადი მიზანი სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა იყო. როგორც ავტორები მიუთითებენ, თავდაპირველად შემუშავებული, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტი ახლოს იდგა კონტინენტური ევროპის ქვეყნებში მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობასთან. განმეორებითი პროექტი კი, მიზნად ისახავდა ანგლოსაქსონური სამართლებრივი სისტემის მქონე ქვეყნებში მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობასთან მაქსიმალურ მიახლოებას.³⁷

შეჯიბრებითი სისხლის სამართლის პროცესი ბევრად უფრო თანამედროვეა და ანგლო-ამერიკული სამართლის სისტემის ქვეყნებში (ინგლისი, აშშ, ავსტრალია, კანადა და ა.შ) იკავებს ადგილს. შეჯიბრებითობის კლასიკური მოდელი კი სწორედ ანგლო-ამერიკული სამართალწარმოებიდან იქნა გადმოღებული, რომელიც ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება.

³⁶ გ. მეფარიშვილი, ცხოვრება და კანონი. თბ., 2008, გვ. 74-75

³⁷ მ. მამნიაშვილი, გ. გახოკიძე, ი. გაბისონია, სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილი, მეორე გამოცემა, თბ., 2013, გვ. 39

თავი III. შეჯიბრებითობისა და თანასწორობის როლი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2004 წლამდე, ორიენტირებული იყო კონტინენტურ-ევროპულ სისხლის სამართლის საპროცესო სისტემაზე, რომლის ფუძემდებლურ პრინციპებსაც ლეგალურობა, ინკვიზიციურობა, მატერიალური ჭეშმარიტების დადგენა წარმოადგენდა. მოგვიანებით შეიცვალა სისხლის სამართლის პოლიტიკის მიმართულება. საპროცესო კანონმდებლობის რეფორმირებისას საქართველო აღმოჩნდა არჩევანის წინაშე,- აერჩია ანგლო-ამერიკული, თუ კონტინენტურ-ევროპული საპროცესო სამართლის სისტემა და მან ანგლო-ამერიკულ საპროცესო სამართალზე შეაჩერა არჩევანი.

2009 წელს შემუშავდა ახალი საპროცესო კოდექსი, რომელმაც ფუნდამენტალური ცვლილებები განიცადა. მან გაამარტივა სისხლის სამართალწარმოება და გარკვეული გარანტიები შექმნა ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით. მისი მთავარი პრინციპებია დისკრეციულობა, მხარეთა შეჯიბრებითობა და თანასწორობა და ფორმალური ჭეშმარიტების დადგენა.

2009 წლის შემდეგ სისხლის სამართლის ინკვიზიციური პროცესი ჩანაცვლდა შეჯიბრებითი სისტემით, რომელიც მოწოდებულია უზრუნველყოს მხარეებს შორის მეტი თანასწორობა და კონკურენცია. ინკვიზიციური პროცესისათვის დამახასიათებელი მოსამართლის აქტიური როლი შეიცვალა არბიტრის ფუნქციით, რომელიც პროცესს მხარეთა შეჯიბრებითობის საფუძველზე წარმართავს.

დღეისათვის, საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი ადვერსარულ პროცესს წარმოადგენს და ანგლო-ამერიკულ სისხლის სამართლის პროცესზეა ორიენტირებული. ადვერსარულობის (იგივე მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორუფლებიანობის, კონტრადიქტორულობის) პრინციპს ეფუძნება, როგორც სასამართლო ასევე, გამოძიების (სისხლისსამართლებრივი დევნის) პროცესი (სსსკ-ის მე-9 მუხლი).³⁸

ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში სერიოზული ყურადღება ეთმობა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპს. კერძოდ, მე-9 მუხლის თანახმად, „სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეს უფლება აქვს, კოდექსის

³⁸ თ. ლალიაშვილი, ანგლო-ამერიკული და კონტინენტურ-ევროპული სისხლის სამართლის პროცესის სისტემების ჰარმონიული კონვერგენცია და მისი მნიშვნელობა ქართული სისხლის სამართლის სისტემისათვის. ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ N4(52). 2016, გვ. 26

დადგენილი წესით დააყენოს შუამდგომლობა, მოიპოვოს, სასამართლოს მეშვეობით გამოითხოვოს, წარადგინოს და გამოიკვლიოს ყველა შესაბამისი მტკიცებულება.³⁹ აღნიშნული მუხლი უზრუნველყოფს მხარეთა თანაბარ სამართლებრივ შესაძლებლობებს საკუთარი უფლებების/პოზიციის დამტკიცებისთვის და არ მოითხოვს მხარეთა ფაქტობრივ თანასწორობას მატერიალური ან/და ადამიანური რესურსების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით.⁴⁰

აღნიშნული კოდექსიდან გამომდინარე, თანაბარ პირობებში დგებიან დაცვისა და ბრალდების მხარე მათ მიერ მტკიცებულებების მოპოვების, მათი მოსამართლის წინაშე წარდგენისა და შეფასების მხრივ. აქცენტი გაკეთდა, შეჯიბრებითობის პრინციპზე აგებულ, ღია სასამართლო კამათის პირობებში განხილულ მტკიცებულებათა უპირატესობაზე.

შეჯიბრებითობის პრინციპის ძირითად ელემენტებს წარმოადგენს:

- მართლმსაჯულების, ბრალდებულისა და დაცვის ფუნქციის გამოცალკავება;
- შეჯიბრებითობა როგორც სასამართლო, ასევე გამოძიების სტადიაზე;
- მხარეთა თანაბარი უფლება მტკიცებულების მოპოვებაზე;
- მხარეთა თანაბარი შესაძლებლობა საკუთარი მტკიცებულების წარმოდგენაზე;
- მოწინააღმდეგე მხარის მტკიცებულებათა გამოკვლევის უფლება.⁴¹

შეჯიბრებითი პროცესის პირობებში საქმის შედეგი დამოკიდებულია მხოლოდ მხარეთა მომზადებაზე, მათ მიერ მტკიცებულებათა სასამართლოში წარდგენაზე, პროცესში მათ აქტიურ მონაწილეობაზე, საკუთარი არგუმენტების სწორად წარმოჩენასა და დაცვაზე, ხოლო მოსამართლეს ამ პროცესში დამოუკიდებლად, თავისი ინიციატივით მონაწილეობის უფლება არ გააჩნია. იგი ასრულებს მარტოდენ დამკვირვებლის როლს მხარეთა მიერ თავიანთი უფლება- მოვალეობების კანონით დადგენილი წესით გამოყენებაზე... საბოლოო გადაწყვეტილების მიმღები პირი - მოსამართლე ჩამოცილებულია ბრალდებისა და დაცვის ფუნქციათა განხორციელებას, რაც კიდევ უფრო აძლიერებს სისხლის სამართლის პროცესში მხარეთა ჩართულობის აუცილებლობის მინშვნელობას.⁴²

გამოძიების ეტაპზე სასამართლო ვალდებულია მხარეებს თანაბარი საასპარეზო პირობები შეუქმნას. ის არის იმის გარანტი, რომ არალეგიტიმურად არ შეიზღუდოს ადამიანის უფლებები. ამ

³⁹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009, 27/04/2021 მდგომარეობით

⁴⁰ ლ. ფაფიაშვილი და სხვები, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარი (2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით), თბ., 2015, გვ. 86

⁴¹ იქვე, გვ. 84-85

⁴² ბ. ნიპარიშვილი, ბრალდებულის დაუსწრებლად სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვა და პროცესის შეჯიბრებითობა, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, თბ., 2016, გვ. 9-10.

მიზნით, სასამართლო განიხილავს მხარეთა შუამდგომლობებს მტკიცებულებების მოპოვების თაობაზე და წყვეტს დააკმაყოფილოს თუ არა ისინი.

შეჯიბრებითობა გამოხატულია, როგორც სასამართლოში მოდავე მხარეთა მიერ თავიანთი უფლებებისა და ინტერესების დაცვის იურიდიულად თანაბარი შესაძლებლობის რეალიზაცია. თუმცა, ზღვრის გავლება თეორიულად შესაძლებლობასა და მის რეალიზაციას შორის საკმაოდ რთული და დელიკატური საკითხია. მით უფრო მაშინ, როდესაც კანონმდებელი, გამონაკლის შემთხვევაში, დასაშვებად მიიჩნევს პროცესის წარმოებას ბრალდებულის მონაწილეობის გარეშე. თუმცა, ასეთი პროცესის მნიშვნელოვანი გარანტია ბრალდებულის დამცველის მონაწილეობაა მასში. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ასეთ შემთხვევაში ითვალისწინებს სასამართლოს მიერ ადვოკატის სავალდებულო წესით დანიშვნას.⁴³

შეჯიბრებითი და თანასწორი პროცესის პირობებში სასამართლო, რომელიც თავად არ ეძებს გადაწყვეტილების მიღებისათვის მნიშვნელოვან მტკიცებულებებს და შემოიფარგლება მხოლოდ მხარეთა მიერ წარმოდგენილი და გამოკვლეული მტკიცებულებებით, უზრუნველყოს მხარეებს შორის თანაბარ მდგომარეობას.⁴⁴

სასამართლო განხილვის დროს სამართლიანობის ყველაზე ფუნდამენტური ასპექტია მოსმენის უფლება (“Right to be heard”). ეს ნიშნავს, რომ დაუშვებელია ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ის მთლიანად და უპირობოდ პირის სასარგებლოდ არის გამოტანილი, თუ პირს მანამდე არ მიეცა საკუთარი პოზიციის წარდგენის შესაძლებლობა.⁴⁵

სასამართლო განხილვამდე, შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპის მოქმედებას გამოძიების სტადიაზე ვხვდებით, ორივე შემთხვევაში აღნიშნული პრინციპის მოქმედება ცალკე განხილვა საჭიროებს, რადგან მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის განხორციელება როგორც სასამართლო, ისე გამოძიების სტადიაზე, წარმოადგენს იმ ნიშანს, რომლითაც განსხვავდება შეჯიბრებითი პროცესი სამძებრო და შერეული პროცესისაგან.

⁴³ ბ. ნიპარიშვილი, ბრალდებულის დაუსწრებლად სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვა და პროცესის შეჯიბრებითობა, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, თბ., 2016, გვ. 20

⁴⁴ გ. თუმანიშვილი, სისხლის სამართლის პროცესის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2014, გვ. 74

⁴⁵ შ. ტრექსელი, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2009, გვ. 112

3.1 მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა გამოძიების სტადიაზე

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, გამოძიება გულისხმობს უფლებამოსილი პირის მიერ განხორციელებულ მოქმედებათა ერთობლიობას, რომლის მიზანიც დანაშაულთან დაკავშირებული მტკიცებულებების შეგროვებაა. გამომძიებელი ვალდებულია დაადგინოს დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები, დაადგინოს მტკიცების საგანში შემავალი გარემოებები და ამით უზრუნველყოს სასამართლოში საქმის სწორად გადაწყვეტის წინაპირობა.⁴⁶

თანასწორობა და შეჯიბრებითობა მოქმედებას იწყებს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე. რა დროსაც, მხარეთა თანასწორობა გამოიხატება იმაში, რომ დაცვის მხარეს, ბრალდების მხარის მსგავსად, უფლება აქვს, ჩაატაროს გამოძიება, უშუალოდ მის მიერ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების მეშვეობით მოიპოვოს მტკიცებულებები, ან დააყენოს შუამდგომლობა გამოძიების ორგანოს წინაშე საგამოძიებო მოქმედების ჩატარების თაობაზე, ან სასამართლოს მეშვეობით გამოითხოვოს მტკიცებულება.⁴⁷

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ შეჯიბრებითობის განხორციელებისათვის აუცილებელია ორი მხარის არსებობა და შესაბამისად, ის არ მოქმედებს გამოძიების სტადიის იმ ნაწილზე, რომელიც ერთი მხარის არსებობის პირობებში ხორციელდება. მანამ, სანამ უფლებამოსილი ორგანოს მიერ არ იქნება იდენტიფიცირებული დაცვის მხარე და კონკრეტული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაიწყება, შეუძლებელია მხარეთა თანასწორობასა და შეჯიბრებითობაზე საუბარი. გვადლევს თუ არა ეს იმაზე ფიქრის საფუძველს, რომ ამ დროს ირღვევა თანასწორობა მხარეებს შორის?

საქმე იმაშია, რომ შეჯიბრებითი პროცესის მოქმედება იწყება ბრალდებულის პიროვნების გამოკვეთისა და ბრალის ოფიციალურად წყენების შემდეგ. დაცვის მხარე, მანამ სანამ მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაიწყება, ინერტულ მდგომარეობაშია. ამის პარალელურად, ბრალდების მხარე მუშაობს მტკიცებულებების მოპოვებაზე და ეს ქმნის ისეთ მდგომარეობას, რომ დაცვის მხარის პროცესში ჩართვისას, როცა მან უნდა დაიწყოს მტკიცებულებების მოპოვება,

⁴⁶ ი. აქუბარდია, რ. გოგშელიძე, ლ. ფაფიაშვილი, სისხლის სამართლის პროცესი, (ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები), მეორე გამოცემა, თბ., 2009, გვ. 208

⁴⁷ ნ. თოდუა, მხარეთა თანასწორობა საპროცესო კანონმდებლობის ლიბერალიზაციის კუთხით, საქართველოში სისხლის სამართლის კანონმდებლობისა და პრაქტიკის კვლევების კრებული, თბ., 2015, გვ. 8

ბრალდების მხარეს ამ დროისათვის უკვე ხელთ აქვს მისთვის საჭირო მტკიცებულებები, რომელიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისთვის, რომ პირმა ჩაიდინა კონკრეტული დანაშაული.

თავისთავად, ეს მდგომარეობა ბრალდებას აყენებს უკეთეს ვითარებაში, რადგან მტკიცებულებების შეგროვებას დაცვის მხარე ბევრად გვიან იწყებს. ამ მიზნით, შესაძლებელია ბრალდების მხარემ შეგნებულად გააჭიანუროს ბრალდება. შეაგროვოს უფრო მეტი მტკიცებულება და უკეთესად მოემზადოს. ამ გარემოების თავიდან ასაცილებლად, კანონმდებელმა სსსკ-ის 169-ე მუხლის მე-9 ნაწილით დაარეგულირა აღნიშნული საკითხი და პირს მიანიჭა უფლება, ბრალდების შესახებ დადგენილების გაცემიდან 10 დღის ვადაში გაასაჩივროს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შეგნებულად გაჭიანურება. ამავდროულად, დაუშვებლად იქნება ცნობილი ყველა ის მტკიცებულება, რომელიც გამოძიების დროს მოპოვებული იქნა მას შემდეგ, რაც პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთვის საკმარისი საფუძველი შეიქმნა.

შეჯიბრებითი პროცესის განხორციელების შესაძლებლობა წარმოიშვება მაშინ, როცა პირი მიიღებს მხარის სტატუსს და ერთი შეხედვითაც ჩანს, რომ ეს ყოველივე უთანასწორო მდგომარეობას ქმნის, მაგრამ ეს უთანასწორობა გამართლებულია და თან არ არსებობს მისი გამოსწორების შესაძლებლობა, ვინაიდან სხვაგვარად დაიკარგებოდა ფაქტის გამოძიების არსი. თუ ვეცდებით პრობლემის გადაჭრას და ამისათვის დავუშვებთ, რომ ყველა შემთხვევაში პირის ბრალდება ადრეული ეტაპიდანვე მოხდეს, რათა მან შეიძინოს მხარის სტატუსი და აღიჭურვოს უფლებებით, ეს მიგვიყვანს სერიოზულ გადატვირთულ სამუშაოებთან და გამოიწვევს მართლმსაჯულების განხორციელების შეფერხებას.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 111-ე მუხლის თანახმად, „მხარეებს საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისას აქვთ თანაბარი უფლება-მოვალეობები.“⁴⁸ სისხლის სამართალწარმოებისას მხარეები თანასწორუფლებიანები არიან, დაცვის მხარეს აქვს შესაძლებლობა ჩაატაროს პარალელური გამოძიება და მოიპოვოს მტკიცებულებები.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მხარეს ანიჭებს უფლებას აწარმოოს დამოუკიდებელი გამოძიება. სსსკ-ის 39-ე მუხლის მეორე ნაწილით დადგენილია, რომ “ბრალდებულს უფლება აქვს საკუთარი ხარჯით, დამოუკიდებლად ან ადვოკატის დახმარებით მოიპოვოს მტკიცებულება, ხოლო თუ საჭიროა ისეთი საგამოძიებო ან საპროცესო მოქმედების ჩატარება, რომლის ჩატარება დამოუკიდებლად შეუძლებელია, მხარე უფლებამოსილია შესაბამისი განჩინების გამოტანის შუამდგომლობით მიმართოს მოსამართლეს გამოძიების ადგილის

⁴⁸ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009, 27/04/2021 მდგომარეობით

მიხედვით.⁴⁹ გამომდინარე აქედან, დაცვის მხარეს აქვს შესაძლებლობა დამოუკიდებლად ჩაატაროს საპროცესო კანონმდებლობით რეგლამენტირებული ისეთი მოქმედებები, რომლებიც არ ატარებს იძულებით ხასიათს, როგორცაა მოწმის და დაზარალებულის გამოკითხვა, ექსპერტიზის დანიშვნა, დათვალიერება და სხვა. რაც შეეხება იძულებითი სახის საგამომიებო მოქმედებებს, მათ ჩასატარებლად დაცვის მხარეს სასამართლოს შუამდგომლობა სჭირდება.

არსებობს ისეთი საგამომიებო მოქმედებებიც, რომლის ჩატარებაც დაცვის მხარეს საერთოდ არ შეუძლია. ამის უფლებამოსილება მას, როგორც დაცვის მხარეს არ აქვს. ასეთია, მაგალითად გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში არსებული საგამომიებო მოქმედებები, ოპერატიულ სამძებრო ღონისძიებები და სხვა. ამაზე უფრო ვრცლად მოგვიანებით ვისაუბრებ. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ დაცვის მხარეს ზოგიერთი საგამომიებო მოქმედების განხორციელების შესაძლებლობა არ აქვს იმ მიზეზით, რომ ვერ მოხდება მათი ტოტალური გათანაბრება, მაგრამ აღნიშნული დაბალანსებული უნდა იყოს ბრალდებულისთვის გარკვეული საპროცესო გარანტიების მინიჭებით. ამას ემსახურება სისხლის სამართლის პროცესში, მაგალითად, უდანაშაულობის პრეზუმფცია, დუმილის უფლება, ყოველგვარი ეჭვის ბრალდებულის სასარგებლოდ გადაწყვეტა, მტკიცების ტვირთის ბრალდების მხარისთვის დაკისრება და სხვა.

შესაბამისად, სისხლის სამართლის პროცესში მხარეთა შორის არსებული ობიექტური სხვაობა კომპენსირებული უნდა იყოს დაცვის მხარისათვის მინიჭებული სხვადასხვა საპროცესო ინსტრუმენტებით იმგვარად, რომ ბრალდებული არ აღმოჩნდეს არსებითად არახელსაყრელ მდგომარეობაში ბრალდების მხარესთან შედარებით.⁵⁰

სანამ უშუალოდ საპროცესო კანონმდებლობაში არსებულ ხარვეზებს შევეხებოდეთ, უნდა ვახსენოთ ფინანსები, რომელსაც უმნიშვნელოვნესი დატვირთვა აქვს გამოძიების სტადიაზე. სისხლის სამართალწარმოებაში დაპირისპირებულ მხარეებს წარმოადგენს ერთი მხრივ ბრალმდებელი, რომლის უკანაც დგას სახელმწიფო და გააჩნია უზარმაზარი რესურსები და უფლებამოსილებები, ხოლო მეორე მხრივ ბრალდებული რომლის რესურსებიც ძირითად შემთხვევებში შეზღუდულია.

ფინანსური შესაძლებლობების სხვაობა მხარეებს შორის შეჯიბრებითი სამართალწარმოების მნიშვნელოვანი შემაფერხებელი გარემოებაა... ბრალდებულის, დაცვის მხარის ფინანსურ მდგომარეობას უპირისპირდება სახელმწიფოს ულვეი რესურსი, რაც ცალსახად მიუთითებს, რომ

⁴⁹ საქართველოს სისხლის სამართლის პროცესო კოდექსი, 2009, 27/04/2021 მდგომარეობით

⁵⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის გადაწყვეტილება № 1/1/650, 699

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3566537?publication=0> უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 19.06.2021

ფინანსურ ჭრილში აშკარა უპირატესობა სახელმწიფოს აქვს და თუ ბრალდებულს შესაბამისი მატერიალური სახსრები არ გააჩნია, დიდი ალბათობით, ის დამარცხდება სამართლებრივ დავაში.⁵¹

ბრალდებული, თუ ის გადახდის უუნარო არ არის, ანაზღაურებს, როგორც ადვოკატის ხარჯებს, ისე უწევს მტკიცებულებების მოსაპოვებლად გაილოს ხარჯები, ვინაიდან თითქმის ყველა საპროცესო მოქმედება ფინანსებს უკავშირდება.

მიუხედავად ფინანსური მხარის მნიშვნელობისა, რომელიც საბოლოო ჯამში შესაძლებელია გადამწყვეტი ფაქტორი აღმოჩნდეს დაცვის მხარისათვის, ის მაინც არ არის რეგულირებული კანონმდებლობაში. რომ არაფერი ვთქვათ აღნიშნულ საკითხზე, შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპის რეალიზების პრობლემებს კანონმდებლობაშივე ვხვდებით. როგორც უკვე აღინიშნა, დაცვის მხარე, ბრალდების მხარის თანაბრად უფლებამოსილია ჩაატაროს პარალელური გამოძიება. თუმცა საინტერესოა, ნამდვილად თანაბარ მდგომარეობაში იმყოფებიან თუ არა ისინი და რამდენად შესაძლებელია მხარეთა თანასწორობის უზრუნველყოფა?

კითხვაზე პასუხის გაცემისათვის, ხარვეზული საგამოძიებო მოქმედების განხილვით, უნდა გამოიკვეთოს მხარეთა უპირატესობები, რომლებიც უთანასწორობას ქმნიან.

3.1.1 შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპის რეალიზების პრობლემები გამოძიების სტადიაზე

შეჯიბრებით პროცესში უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს მტკიცებულებების მოპოვების საკითხი. გამომძიებელი საქმეს იძიებს ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად. სრული მოცულობით საქმის გამოძიება გულისხმობს იმას, რომ ბრალდების მხარეს ეკისრება ვალდებულება, მოიპოვოს როგორც ის მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ ბრალდებულის კავშირს დანაშაულთან, ასევე მტკიცებულებები, რომლებიც ამართლებენ მას.

დაცვის მხარეს პროცესის ნებისმიერ სტადიაზე აქვს შესაძლებლობა მოსთხოვოს ბრალდების მხარეს იმ ინფორმაციის გაცნობა, რომლის მტკიცებულებად წარდგენასაც აპირებს

⁵¹ ვ. მაჭარაშვილი, საადვოკატო გამოძიება: თეორიისა და პრაქტიკის პრობლემები, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბ., 2018, გვ. 59-63

სასამართლოში. ბრალდების მხარეს ეკისრება ვალდებულება გადასცეს მის ხელთ არსებული ის მტკიცებულებებიც, რომლებიც დაცვის მხარეს ამართლებს.

საყურადღებოა, რომ ბრალდების მხარეს მხოლოდ დაცვის მხარის მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგ ეძლევა შესაძლებლობა მიიღოს ის ინფორმაცია, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც დაცვის მხარე აპირებს. ამასთან, თუ ბრალდების მხარე ვალდებულია გადასცეს დაცვის მხარის გამამართლებელი მტკიცებულებებიც, ასეთი ვალდებულება დაცვის მხარეს არ გააჩნია. ის მიმართულია მხოლოდ საკუთარი პოზიციის გამყარებისთვის საჭირო მტკიცებულებების მოპოვებაზე. უფრო მეტიც, სსსკ-ის 39-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, როდესაც დაცვის მხარე სასამართლოს შუამდგომლობის საფუძველზე ახორციელებს საგამოძიებო მოქმედებებს, მოსამართლე ვალდებულია მიიღოს ყველა ზომა, რათა ბრალდების მხარისათვის ცნობილი არ გახდეს დაცვის მხარის მიერ მტკიცებულების მოპოვება. უდაოდ, დაცვის მხარე, ბრალდების მხარესთან შედარებით უპირატეს მდგომარეობაშია, როცა საკითხი მტკიცებულებების გაცვლას შეეხება.

მტკიცებულებების გადაცემის უფლება შეიძლება შეიზღუდოს ბრალდების მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, სასამართლოს მიერ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ინფორმაცია მოპოვებულია ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ან ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად. ეს შეზღუდვა მართლდება იმ მიდგომით, რომ დაცვის მხარის მიერ მტკიცებულებების გაცნობის მოთხოვნის დროს შესაძლებელია მიმდინარეობდეს კვლავ ფარული საგამოძიებო მოქმედებები, რისი ცოდნაც ბრალდების მხარის მიერ, ხელს შეუშლის სიმართლის დადგენას. ამ შემთხვევაში, ბრალდებულია უთანასწორო მდგომარეობაში, ვინაიდან მას არ აქვს შესაძლებლობა გაეცნოს ინფორმაციას და მოამზადოს საწინააღმდეგო არგუმენტები.

შესაძლებელია, აღნიშნული მოქმედებებით გამოვლინდეს გარემოებები, რომლებიც დაცვის მხარის სასარგებლოდ იმოქმედებენ, მაგრამ ვინაიდან დაცვის მხარეს არ აქვს პროცესუალური საშუალებები გაეცნოს ამ ინფორმაციას, ბრალდების მხარის მიერ თავისუფლად შეიძლება იქნეს განადგურებული იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მან ეს ინფორმაცია არარელევანტურად მიიჩნიოს. ასეთ სიტუაციაში დაცვის მხარეს ერთმევა შესაძლებლობა თავად გადაწყვიტოს მისი პოზიციისთვის რომელი მტკიცებულებებია საჭირო.

მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია მტკიცებულებების მეორე მხარისათვის გადაცემის ვალდებულება შეიზღუდოს, ეს მდგომარეობა მაინც დროებითია. სსსკ-ს 83-ე მუხლის მე-6 ნაწილის მიხედვით, „წინასასამართლო სხდომის გამართვამდე არა უგვიანეს 5 დღისა მხარეებმა ერთმანეთს და სასამართლოს უნდა მიაწოდონ იმ მომენტისათვის მათ ხელთ არსებული სრული ინფორმაცია,

რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც აპირებენ.⁵² მხარეებს მოწინააღმდეგე მხარის მტკიცებულებების გაცნობისა და საპასუხო არგუმენტების მომზადების შესაძლებლობას სწორედ ეს ნორმა აძლევთ.

აღსანიშნავია, რომ ძველი კანონმდებლობით დაცვის მხარის მიერ ერთი ისეთი მტკიცებულების წარუდგენლობა, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მისი დაცვის უზრუნველსაყოფად, არ იწვევდა სასამართლოში საქმის არსებით განხილვაზე ამ მტკიცებულებების დაუშვებლობას. ამ შემთხვევაში სხდომის თავმჯდომარე დაცვის მხარეს განკარგულებით აკისრებდა საპროცესო ხარჯების ანაზღაურებას. რაც, რა თქმა უნდა, პირდაპირ უთანასწორობას უსვამდა ხაზს და შესაბამისად მსგავსი დათქმა უნდა გაუქმებულიყო.

საინტერესოა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს განმარტება მტკიცებულებათა წინასწარი გაცვლის თაობაზე. საქმეზე - ივონი საფრანგეთის წინააღმდეგ-, მოსამართლის განცხადებით, „მიუხედავად იმისა, რომ სამართლიანი სასამართლოს პრინციპებიდან გამომდინარე, მხარეებს უფლება აქვთ გაეცნონ მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარსადგენ მტკიცებულებებს, წმინდა შეჯიბრებითობის კუთხით, აღნიშნული არ ეხება მტკიცებულებათა იმ ნაწილს, რომლის წარდგენასაც მხარე არ აპირებს საქმის უშუალო განხილვისას.“⁵³ დაცვის მხარის უფლების შეზღუდვა, გაეცნოს ბრალდების მხარის მტკიცებულებებს, მისაღებია თუ აღნიშნული ემსახურება საჯარო მიზანს, შეიცავს სახელმწიფო სადუმლოებას, მიმართულია სხვა პირის ფუნდამენტური უფლებების დაცვისაკენ და სხვ.⁵⁴

საყურადღებოა **ექსპერტის დასკვნა** და ამ დასკვნის გადაცემის ვალდებულება მეორე მხარისათვის. ადრე, ექსპერტის უფლებამოსილებას განსაზღვრავდა სახელმწიფო, სპეციალური ლიცენზიით. ამჟამად ექსპერტს ამგვარი ლიცენზია აღარ სჭირდება და მისი სტატუსი განისაზღვრება მხოლოდ გამოცდილებით, რომელსაც მოსამართლე აფასებს⁵⁵

ექსპერტიზა მხარეთა ინიციატივით ტარდება და ვერცერთი მხარე იქნება დარწმუნებული, რომ ექსპერტიზის ჩატარების მოთხოვნისას, დასკვნა აუცილებლად მათი პოზიციებისათვის იქნება სასარგებლო და არა მოწინააღმდეგე მხარისათვის. მიუხედავად შედეგებისა, მხარეები მაინც ვალდებული არიან დანიშნული ექსპერტიზის დასკვნა გადასცენ მეორე მხარეს.

⁵² სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009, 27/04/2021 მდგომარეობით

⁵³ Yvon v. France, ECtHR, N44962/98, 2003, §38

⁵⁴ Leas v. Estonia, ECtHR, N59577/08, 2012, §58, 78-79

⁵⁵ ვ. მაჭარაშვილი, საადვოკატო გამოძიება: თეორიისა და პრაქტიკის პრობლემები, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბ., 2018, გვ. 151

სსსკ-ის 146-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ექსპერტის დასკვნის მიღებისთანავე ექსპერტიზის ინიციატორმა მხარემ ის დაუყოვნებლივ უნდა გადასცეს მეორე მხარეს ასეთი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში. ბრალდების მხარის შემთხვევაში ზედმეტ ვალდებულებასთან არ გვაქვს საქმე, ვინაიდან, მას ისედაც აქვს დაკისრებული გამოძიების ყოველმხრივ სრულად და ობიექტურად ჩატარების ვალდებულება. მისგან განსხვავებით კი, დაცვის მხარეს არ ეკისრება ობიექტურობის ვალდებულება და ის მიმართულია მხოლოდ საკუთარი ინტერესების დასაცავად. სსსკ-ის 146-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე შესაძლებელია დაცვის მხარის უფლება, არ მისცეს ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგ, დაირღვეს, რადგან დაცვის მხარის მიერ დანიშნული ექსპერტიზის ბრალდების მხარისთვის გადაცემამ შეიძლება გამოიწვიოს ბრალდებულის საზიანო მტკიცებულებების გადაცემა. მოთხოვნის შემთხვევაში კი, დაცვის მხარეს არ აქვს უფლება უარი უთხრას ბრალდებას აღნიშნული დასკვნის გადაცემაზე.

შექმნილი მდგომარეობის გადასაჭრელად შესაძლებელია დაცვის მხარეს მიეცეს უფლება მისთვის საზიანო ინფორმაცია არ გადასცეს ბრალდების მხარეს, თუმცა სწორი მართლმსაჯულების განხორციელებისთვის ეს რამდენად მიზანშეწონილია მეორე საკითხია.

გამოძიების ეტაპზე, მტკიცებულებების მოპოვების კუთხით, მნიშვნელოვან საგამოძიებო მოქმედებას **პირის გამოკითხვა** წარმოადგენს. 1998 წლის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, მოწმის დაკითხვა სავალდებულო ხასიათის იყო. დღეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად კი, დაკითხვა შეიცვალა გამოკითხვით და ის ნებაყოფლობითია.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 113-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, „ნებისმიერი პირი, რომელიც შესაძლებელია ფლობდეს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას, ნებაყოფლობით შეიძლება გამოკითხულ იქნეს მხარეთა მიერ. დაუშვებელია გამოსაკითხი პირი აიძულონ, წარმოადგინოს მტკიცებულება ან გასცეს ინფორმაცია.“⁵⁶

აღნიშნულ მუხლთან მიმართებით ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ 2020 წლამდე რედაქციით, 113-ე მუხლის მე-8 ნაწილი ფორმულირებული იყო იმ შინაარსით, რომ თუ გამოკითხვას ბრალდების მხარე ატარებდა, გამოსაკითხი პირის მიერ გამოკითხვაზე უარის თქმის შემთხვევაში ის შეიძლებოდა დაეხარებინათ მაგისტრატ მოსამართლესთან ჩვენების მისაცემად და რომ ჩვენების მიცემა სავალდებულო ხასიათის იყო და ამ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევდა პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. ეს პირდაპირ მიუთითებდა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპის იდეის დარღვევაზე, ვინაიდან ბრალდების მხარეს გააჩნდა უფლება

⁵⁶ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009, 27/04/2021 მდგომარეობით

მოწმისგან მიეღო ჩვენება სავალდებულო წესით, ხოლო დაცვის მხარე დამოკიდებული რჩებოდა გამოსაკითხი პირის სურვილზე ეთანამშრომლა მხარესთან.

არსებული უთანასწორობის პირობებში დღის წესრიგში დადგა პრობლემის გადაჭრის აუცილებლობა და 2020 წლის მარტში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, სსსკ-ის 113-ე მუხლის მე-8 ნაწილით გამოსაკითხი პირის მიერ გამოკითხვაზე უარის თქმის შემთხვევაში დაცვის მხარესაც მიეცა შესაძლებლობა ესარგებლა პირის მაგისტრატ მოსამართლესთან დაკითხვის უფლებით.⁵⁷ შედეგად, ორივე მხარე ჩადგა თანაბარ მდგომარეობაში.

მართალია, ცვლილებებმა აღმოფხვრა არსებული უთანასწორობა, თუმცა კანონმდებელი არ შეეხო ბრალდების მხარის იმ აშკარა უპირატესობას, რომელსაც ამავე მუხლში ვხვდებით. 2018 წელს 113-ე მუხლს დაემატა 11-13 ნაწილები, რომლის მიხედვითაც, „პროკურორი ან პროკურორის თანხმობით გამომძიებელი უფლებამოსილია დისტანციურად, ელექტრონული საშუალებების გამოყენებით გამოკითხოს უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე მყოფი პირი სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ შუამდგომლობის გაგზავნის გარეშე, თუ ამგვარი წესით პირის გამოკითხვა დაშვებულია საქართველოს შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებით, ამ პირის ადგილსამყოფელი სახელმწიფოს სამართლით ან/და ამ სახელმწიფოს ნათლად ჩამოყალიბებული პრაქტიკით.“⁵⁸

საყურადღებოა ის, რომ ნახსენები არ არის დაცვის მხარე. აღნიშნული უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა ეძლევა მხოლოდ ბრალდების მხარეს. როგორ უნდა გადაწყდეს საქმე იმ შემთხვევაში, როცა დაცვის მხარეს სურს უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე მყოფი პირის გამოკითხვა, რომელიც შეიძლება ფლობდეს საქმისთვის უმნიშვნელოვანეს ინფორმაციას? საინტერესოა, რატომ არ შეეხო კანონმდებელი 2020 წელს განხორციელებული ცვლილებების დროს აღნიშნულ ნორმას, მაშინ როცა ამავე მუხლში არსებული სხვა უთანასწორობის აღმოფხვრა მოახერხა.

არსებული პრობლემის გადაჭრა მნიშვნელოვანია და უნდა მოხდეს ნორმის ისე ფორმულირება, რომ დაცვის მხარეც აღიჭურვოს უფლებით, დისტანციურად შეძლოს მოწმის გამოკითხვა იმგვარად, როგორც ეს ბრალდების მხარეს შეუძლია.

⁵⁷ საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, №5862-III, საქართველოს პარლამენტი, 20/03/2020. <https://matsne.gov.ge> უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა, 19.06.2021

⁵⁸ საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, №3157-რს, საქართველოს პარლამენტი, 20/07/2018. <https://matsne.gov.ge> უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა, 19.06.2021

საქართველოს სისხლის სამართლის პროცესში თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის განსამტკიცებლად გადადგმული ნაბიჯია 2013 წლის ივნისში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილება, რომელიც დაცვის მხარეს აძლევს შესაძლებლობას, მოსამართლის ნებართვის საფუძველზე ჩაატაროს საგამომიებო მოქმედებები. მათ შორის უმნიშვნელოვანესი,- ჩხრეკა და ამოღება.

სსსკ-ის 120-ე მუხლის მე-10 ნაწილის მიხედვით, დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე მოპოვებული საგნის, დოკუმენტის, ნივთის, ნივთიერების, ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის ამ კოდექსით დადგენილი წესით პირველადი გამოკვლევის უფლება აქვს ბრალდების მხარეს. თავის მხრივ ამ დებულებით ირღვევა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპი.

ბრალდების მხარის პირველადი გამოკვლევის პრეროგატივა გასაჩივრდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში,- „ტიტიკო ჩორგოლიანის საქმე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.“ მომჩივანი სსსკ-ის 120-ე მუხლის მე-10 ნაწილის კონსტიტუციურობაზე დაობდა. კერძოდ, კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით. ის განმარტავდა, რომ დაცვის მხარეს უნდა მინიჭებოდა უფლება არ გადაეცა ბრალდების მხარისთვის ისეთი მტკიცებულება, რომელიც მისი ბრალეულობის დამადასტურებელი აღმოჩნდებოდა.

საკონსტიტუციო სასამართლომ ძალადაკარგულად გამოაცხადა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით, საქართველოს სსსკ-ის 120-ე მუხლის მე-10 ნაწილი, თუმცა გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ „სადავო ნორმის პრობლემურობას, არა პირველადი გამოკვლევის ინსტიტუტი იწვევს, არამედ აღნიშნული პროცედურის განხორციელების ფარგლებში დაცვის მხარისათვის საკმარისი გარანტიების არარსებობა. რაშიც სასამართლო, როგორც გარკვეულ პროცედურებს, ასევე ვადებს გულისხმობს. დაცვის მხარესაც უნდა მიეცეს მოპოვებული მტკიცებულების სათანადო გამოკვლევის შესაძლებლობა. სადავო ნორმის დაუყოვნებლივ გაუქმებით კი, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება წარმოქმნის იმგვარ ვითარებას, რომ ბრალდების მხარეს არ მიეწოდოს პროცესისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მტკიცებულება. აღნიშნულის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს, „საქართველოს საკონსტიტუციოს სამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, გადაავადოს ნორმის ძალადაკარგულად გამოცხადება 2019 წლის 30 ივნისამდე, რათა მოპასუხეს მიეცეს გონივრული შესაძლებლობა, წინამდებარე გადაწყვეტილებასთან შესაბამისობაში მოიყვანოს სისხლის სამართლებრივი კანონმდებლობა და უზრუნველყოს დაცვის მხარის მიერ

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 120-ე მუხლის მე-10 ნაწილის საფუძველზე მოპოვებული მტკიცებულებების სათანადო გამოკვლევა.⁵⁹

საქმის განხილვის არსებით სხდომაზე მოწმემ - საქართველოს მთავარი პროკურატურის წარმომადგენელმა განმარტა, რომ სადავო ნორმის პრაქტიკაში იმპლემენტაცია უზრუნველყოფს დაცვის მხარის მიერ ინიცირებული ჩხრეკისა და ამოღების შედეგად მოპოვებული საგნის, ნივთის, ნივთიერების და ინფორმაციის შემცველი დოკუმენტის ბრალდების მხარის მიერ მხოლოდ გარეგნულ და არა შინაარსობრივ გამოკვლევას. მისი მითითებით სადავო ნორმის კონტექსტში ტერმინი „გამოკვლევა“ თავისი არსით გულისხმობს მხოლოდ გაცნობას. ამასთან, მან დამატებით აღნიშნა, რომ ბრალდების მხარე სადავო ნორმით განსაზღვრული წესით მოპოვებულ ობიექტს ვერ გამოიყენებს სასამართლოზე როგორც მის სასარგებლო მტკიცებულებას.⁶⁰

სასამართლოს გადაწყვეტილებაში განმარტებულია, რომ პრობლემას წარმოადგენს არა თავად დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე ამოღებული ნივთის თუ ნივთიერების პირველადი გამოკვლევის უფლება, არამედ ის ფაქტი, რომ კანონმდებლის მიერ არ არის განსაზღვრული გამოკვლევის პროცედურები და ვადები, რა დროშიც ბრალდების მხარემ უნდა უნდა გამოიკვლიოს დაცვის მხარის მტკიცებულებები.

ყურადღება გამახვილებულია იმ გარემოებაზეც, რომ ნორმა პრობლემატური ხდება განსაკუთრებით მაშინ, როცა ამოღებული ობიექტი ერთჯერადი გამოკვლევისთვისაა ვარგისი, გახარჯვადია. ასეთ დროს, პირველადი გამოკვლევის ფარგლებში ბრალდების მხარეს შეუძლია ჩაატაროს ექსპერტიზა, ხოლო დაცვის მხარეს ეს შესაძლებლობა არ ეძლევა და ეყრდნობა მოწინააღმდეგე მხარის მიერ ჩატარებულ ექსპერტიზას.

წინამდებარე საკონსტიტუციო გადაწყვეტილებაში ასევე განხილულია ის ფაქტი, რომ კანონმდებელი არ აკონკრეტებს თუ რა იგულისხმება პირველადი გამოკვლევის უფლებაში, რაც ნორმას უფრო ბუნდოვანს ხდის. ამ მიზნით, საქართველოს პარლამენტის მიერ შემუშავებული და ინიცირებული იქნა კანონპროექტი, რომლის თანახმად, საკანონმდებლო დონეზე განიმარტა თუ პირველადი გამოკვლევის უფლება,- ეს გულისხმობს დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე ამოღებული საგნის, ნივთის, ნივთიერების, აგრეთვე ინფორმაციის შემცველი დოკუმენტის პირველ რიგში ბრალდების მხარის მიერ დათვალიერებას, შინაარსის გაცნობას, ამ

⁵⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2018 წლის 14 დეკემბერის გადაწყვეტილება, საქმეზე ტიტვიკო ჩორგოლიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, №1/4/809, პუქტი 46

⁶⁰ იქვე, I(14)

მასალაზე ექსპერტიზის ან სხვა საგამომიებო მოქმედების ჩატარებას, ვიდრე ანალოგიური უფლებით ისარგებლებს დაცვის მხარე.⁶¹

საკონსტიტუციო გადაწყვეტილებაში დასახელებული პრობლემური საკითხების მოგვარებისათვის, 2019 წლის 17 ოქტომბერს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს დაემატა 83-ე პრიმა და 144-ე მუხლის 3²-3⁵ ნაწილები.

სსსკ-ის 83¹ მუხლი არეგულირებს დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე მოპოვებული შესაძლო მტკიცებულებების დაცვის მხარისთვის გადაცემისა და გაცნობის საკითხებს. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, „თუ ბრალდების მხარე აპირებს, სასამართლოში მტკიცებულებად წარადგინოს დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე მოპოვებული საგანი, დოკუმენტი, ნივთი, ნივთიერება, ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი, იგი ვალდებულია აღნიშნული მასალა მოთხოვნის შემთხვევაში გადასცეს დაცვის მხარეს პირველადი გამოკვლევის დასრულებისთანავე“, ამავე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ ბრალდების მხარე აჭიანურებს დაცვის მხარისთვის შესაბამისი მასალის გადაცემას ან გაცნობას, დაცვის მხარე უფლებამოსილია გამოიძიოს ადგილის მიხედვით რაიონულ(საქალაქო) სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით, მისთვის ამ მასალების გადაცემის შესახებ.⁶²

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 144-ე მუხლს კი დაემატა შემდეგი შინაარსის ნაწილები:

3². პირველადი გამოკვლევის ფარგლებში დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე მოპოვებული საგნის, დოკუმენტის, ნივთის, ნივთიერების, ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის ექსპერტიზისთვის გადაცემის შემდეგ ექსპერტი ადგენს საექსპერტო კვლევის ობიექტზე ექსპერტიზის მრავალჯერადად ჩატარების შესაძლებლობას.

3³. თუ ამ მუხლის 3² ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში ექსპერტმა დაადგინა, რომ საექსპერტო კვლევის ობიექტი შეიძლება ვარგისი იყოს ექსპერტიზის მხოლოდ ერთჯერადად ჩასატარებლად (გამოლევადია, ექვემდებარება განადგურებას), აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ ამის დადგენა შეუძლებელია, ექსპერტმა ეს დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს ბრალდების მხარეს, ბრალდების მხარემ კი, თავის მხრივ, დაუყოვნებლივ – დაცვის მხარეს.

⁶¹ საქართველოს კანონი, „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ.“ <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/224257> უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა, 19.06.2021

⁶² საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, 2009, 27/04/2021 მდგომარეობით

3⁴. ამ მუხლის 3³ ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში დაცვის მხარეს უფლება აქვს, შესაბამისი შეტყობინების მიღებიდან 3 დღის ვადაში წერილობითი შეკითხვები წარუდგინოს ბრალდების მხარეს. ბრალდების მხარე ამ შეკითხვებს დაუყოვნებლივ უგზავნის ექსპერტს.

3⁵. პირველადი გამოკვლევის ფარგლებში შედგენილი ექსპერტიზის დასკვნა დაცვის მხარეს გადაეცემა ამ კოდექსის 146-ე მუხლის მე-4 ნაწილით დადგენილი წესით.⁶³

თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ცვლილებებმა ზუსტად აღმოიფხვრა ის ხარვეზები, რომელთაც საკონსტიტუციო გადაწყვეტილებით ხაზი გაესვა. ერთადერთი კითხვის ნიშანი რჩება იმ გარემოებას, რომ პირველადი გამოკვლევის უფლება კვლავ ბრალდების მხარეს აქვს, რაც გასაგები იქნება თუ აღნიშნულ ნორმას ბრალდების მხრიდან შევხედავთ.

დაცვის მხარე მიმართულია საკუთარი პოზიცია განამტკიცოს შესაბამისი მტკიცებულებებით და დაიცვას ბრალდებული. მტკიცებულებები, რომელიც მოიპოვება დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, სულაც არ გულისხმობს იმას, რომ აუცილებლად მისთვის სასარგებლო აღმოჩნდება. პირიქით, - შესაძლებელია ამძიმებდეს ბრალდებულის მდგომარეობას. თუ დავუშვებთ, რომ ამ დროს პირველადი გამოკვლევის უფლება ექნება დაცვის მხარეს, მარტივი შესაძლებელია და რისკის მატარებელი, რომ აღნიშნული მტკიცებულება დაცვის მხარის მიერ განადგურდეს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დაცვის მხარე ყოველთვის მხოლოდ კერძო ინტერესის მატარებელია, ხოლო ბრალდების მხარე საჯარო ინტერესს იცავს. შესაძლებელია დაცვის მხარის მიერ აღნიშნული მასალის პირველადი ამოღების დროს ადამიანის უფლებების დარღვევას ჰქონდეს ადგილი და ვინაიდან ბრალდების მხარეს კერძო ინტერესი არ გააჩნია, ის უფრო მეტად არის ადამიანის უფლებების შესაძლო დარღვევის თავიდან აცილების გარანტი.

პირველადი გამოკვლევის უფლება აქვს ბრალდების მხარეს, რაც არ ნიშნავს, რომ დაცვის მხარეს ერთმევა შესაძლებლობა გამოიკვლიოს ან მიიღოს მისთვის საჭირო მტკიცებულებები. თუმცა, რადგან საგამომიებო მოქმედება ტარდება დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, მხარეთა თანასწორობის ბალანსისათვის უკეთესი იქნებოდა, თუ აღნიშნული ინფორმაციისა თუ დოკუმენტის პირველად გამოკვლევას დაცვის მხარეც დაესწრებოდა.

როგორც უკვე აღინიშნა, არსებობს საგამომიებო მოქმედებები, რომელთა განხორციელების შესაძლებლობა დაცვის მხარეს საერთოდ არ გააჩნია. ერთ-ერთი მათგანია **ფარული საგამომიებო მოქმედებები**, რომელიც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-16 პრიმა თავშია გათვალისწინებული.

⁶³ საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ, 17/10/2019, №5186-I <https://matsne.gov.ge> უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 19.06.2021

სსსკ-ის 143³ პირველი ნაწილის შესაბამისად, „ფარული საგამოძიებო მოქმედება ტარდება მოსამართლის განჩინებით. განჩინებას პროკურორის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე იღებს გამოძიების ადგილის მიხედვით რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე.“⁶⁴ ფორმულირებიდანვე ჩანს, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების უფლებამოსილება მხოლოდ ბრალდების მხარეს გააჩნია.

მიუხედავად იმისა, რომ თვალსაჩინია უთანასწორობა, აღნიშნული უფლებით მხოლოდ ბრალდების მხარის სარგებლობას თავისი მიზეზები აქვს. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედებები იჭრება ადამიანის პირად ცხოვრებაში და არღვევს კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებებს. სწორედ ამ მიზნით, ფარული საგამოძიებო მოქმედებების თავში რეგულირდება აღნიშნული მოქმედებების ჩატარების მიზანშეწონილობა და დასაშვებობა, რადგან მიუხედავად პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების კონსტიტუციით განმტკიცებისა, ის მაინც არ არის აბსოლუტური უფლება და შესაძლებელია გარკვეული გარემოებების დროს სასამართლოს ნებართვით შეიზღუდოს.

ვინაიდან, ფარული საგამოძიებო მოქმედებები უხეშად ლახავს ადამიანის უფლებებს, მისი ჩატარება ბრალდების მხარის მიერ მარტივად არ ხდება. აღნიშნული მოქმედებების განხორციელება მიზანშეწონილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა შეუძლებელია სხვა საშუალებით გამოძიებისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებების მოპოვება ან საჭიროებს გაუმართლებლად დიდ ძალისხმევას.

ფარული საგამოძიებო მოქმედებები აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, თუ გადაუდებელი საზოგადოებრივი საჭიროებით არის მოწოდებული და ლეგიტიმური მიზნის მიღწევისათვის შესაფერისი და პროპორციული საშუალებაა. საკონსტიტუციო სასამართლოს ჩამოყალიბებული მიდგომის თანახმად, სადავო ნორმის მზლუდავი ხასიათის კონსტიტუციურობა დგინდება თანაზომიერების პრინციპის შესაბამისად, რაც გულისხმობს, რომ „უფლების მზლუდავი საკანონმდებლო რეგულირება უნდა წარმოადგენდეს ღირებული საჯარო (ლეგიტიმური) მიზნის მიღწევის გამოსადეგ და აუცილებელ საშუალებას. ამავე დროს, უფლების შეზღუდვის ინტენსივობა მისაღწევი საჯარო მიზნის პროპორციული, მისი თანაზომიერი უნდა იყოს. დაუშვებელია, ლეგიტიმური მიზნის მიღწევა განხორციელდეს ადამიანის უფლების მომეტებული შეზღუდვის ხარჯზე.“⁶⁵

⁶⁴ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009, 27/04/2021 მდგომარეობით

⁶⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება, საქმეზე „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონჟესტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-60.

მხარეთა შეჯიბრებითობა ფარული საგამოძიებო მოქმედებისას დარღვეულია იმ მიზეზთა გამო, რომ დაცვის მხარე კარგავს შესაძლებლობას აღნიშნული მოქმედებებით მოიპოვოს ის მტკიცებულებები, რომელთა მოპოვებაც სხვა გზით შეუძლებელია. ამავდროულად, როცა ბრალდების მხარე ფარულ საგამოძიებო მოქმედებებს ახორციელებს, ეს ერთმნიშვნელოვნად მიზანმიმართულია ბრალდების პოზიციის გასამყარებლად და შესაბამისად, ბრალდების

მიუხედავად ცალსახა უთანასწორობისა, არსებობს მიდგომა, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების შესაძლებლობა არ უნდა ჰქონდეს დაცვის მხარეს, ვინაიდან დაცული იყოს პირადი ცხოვრების დეტალები გახმაურებისგან.

დღევანდელი მდგომარეობით, ფარულ საგამოძიებო მოქმედებებს ახორციელებს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანო, რაც თავის მხრივ ქმნის იმის გარანტიას, რომ საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ცნობილი ინფორმაცია იქნება დაცული. ამ მიზნით, კანონმდებელი აწესებს არაღირებული ინფორმაციის განადგურების ვალდებულებას. ინფორმაცია, რომელსაც გამოძიებისთვის ღირებულება არ გააჩნია - ამ ტიპის ინფორმაციის განადგურებაზე გადაწყვეტილებას იღებს პროკურორი ფარული საგამოძიებო მოქმედების შეწყვეტის ან დასრულების შემდეგ, ანუ მას შემდეგ, რაც საგამოძიებო მოქმედების შედეგად დადგინდა, რომ მოპოვებულმა ინფორმაციამ ვერ გაამართლა გამოძიების მოლოდინი და მისი მოპოვებით ვერ იქნა მიღწეული დასახული მიზანი.⁶⁶

ინფორმაცია დაცულია სსსკ-ის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილითაც, რომლის მიხედვითაც, „საპროცესო მოქმედების ჩამტარებელმა არ უნდა გაამჟღავნოს ცნობები პირადი ცხოვრების შესახებ, ასევე პირადი ხასიათის ცნობები, რომელთა საიდუმლოდ დაცვაც პირს საჭიროდ მიაჩნია.“⁶⁷

კერძო პირის გაკონტროლება თითქმის შეუძლებელია და საფრთხე დაემუქრება ადამიანის პირადი ცხოვრების გასაჯაროვებას. ამ მიზეზზე აპელირებით, შესაძლებელია იმის თქმა, რომ არ უნდა ჰქონდეს დაცვის მხარეს ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელების შესაძლებლობა, მაგრამ არსებობს გამოსავალიც. ბრალდებულს, სსსკ-ის 39-ე მუხლით მინიჭებული აქვს უფლება, საკუთარი ხარჯით, თვითონ ან ადვოკატის დახმარებით მოიპოვოს მტკიცებულება, ხოლო თუ მტკიცებულების მოპოვებას დამოუკიდებლად ვერ ახერხებს, უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს შესაბამისი განჩინების გამოტანის შუამდგომლობით. ამასთან, სსსკ-ის 111-ე მუხლის შესაბამისად, დაცვის მხარის დასაბუთებული შუამდგომლობით, სასამართლოს

⁶⁶ ლ. ფაფიაშვილი და სხვები, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები (2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით), 2015, გვ. 444

⁶⁷ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009, 27/04/2021 მდგომარეობით

განჩინების საფუძველზე საგამოძიებო მოქმედებას ატარებს გამომძიებელი, რომელიც არ შეიძლება იყოს იგივე პირი, რომელიც მოცემული საქმის გამოძიებას აწარმოებს.

აღნიშნულ ორ მუხლზე დაყრდნობით, შესაძლებელია საქმის გადაწყვეტა იმგვარად, რომ დაცვის მხარეს მიეცეს შესაძლებლობა ფარული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ დააყენოს შუამდგომლობა. ვინაიდან გამოძიებას ჩაატარებს გამომძიებელი, შესაძლებელია მტკიცებულებების შეფასება და გაფილტვრა მოხდეს დაცვის მხარისთვის გადაცემამდე, თუმცა სტრუქტურულად ეს რამდენად მიზანშეწონილი და გამართლებულია ცალკე საკითხია.

მხოლოდ პროკურორის უფლებამოსილებაა ასევე **საბანკო ანგარიშების მონიტორინგი**, რომელიც სსსკ-ის 124 პრიმა მუხლით რეგულირდება. დაცვის მხარეს არც დამოუკიდებლად განხორციელების და არც სასამართლოსთვის შუამდგომლობით მიმართვის შესაძლებლობა არ აქვს.

აუცილებლად უნდა გამახვილდეს ყურადღება **გადაუდებელი აუცილებლობის ფარგლებში** ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებებზე. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 111-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, დაცვის მხარეს არა აქვს უფლება, სასამართლოს ნებართვის გარეშე ჩაატაროს ისეთი საგამოძიებო მოქმედება, რომლის ჩატარებისათვის, ამ კოდექსის თანახმად, საჭიროა ასეთი ნებართვა. აღნიშნული ნორმა გულისხმობს გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელებულ ქმედებას, რომლის უფლებამოსილებაც მხოლოდ ბრალდების მხარეს გააჩნია.

სსსკ-ის 112-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, „როდესაც დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს გამოძიებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების განადგურება ან როცა დაყოვნება შეუძლებელს გახდის აღნიშნული მონაცემების მოპოვებას, ან როცა საქმისათვის საჭირო საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი აღმოჩენილია სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას (თუ აღმოჩენილია მხოლოდ ზედაპირული დათვალიერების შედეგად), ან როცა არსებობს სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ხელყოფის რეალური საფრთხე, შეიძლება ჩატარდეს სასამართლოს განჩინების გარეშე“⁶⁸ აღნიშნული ქმედება ხორციელდება გადაუდებელი აუცილებლობის ფარგლებში და როგორც მუხლის ფორმულირებიდან ჩანს, ეს მხოლოდ ბრალდების მხარის უფლებაა.

საგამოძიებო მოქმედების გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელების უფლებით რომ ვერ სარგებლობს დაცვის მხარე, პრობლემა ხდება არა ზოგად, არამედ კონკრეტულ შემთხვევებში, რადგან გადაუდებელი აუცილებლობა თავისი არსით, მდგომარეობაა და არა მოქმედება. პრობლემატური მხარის დასაწახად გამოსადეგია სსსკ-ის 125-ე მუხლი, რომელიც ეხება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საგამოძიებო მოქმედებას,- დათვალიერებას. მართალია,

⁶⁸ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009, 27/04/2021 მდგომარეობით

აღნიშნული უფლებით სარგებლობის შესაძლებლობას კანონმდებელი ორივე მხარეს აძლევს, თუმცა აქ საინტერესო ის ფაქტია, რომ დათვალაიერება ძირითად შემთხვევებში ტარდება გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით, რათა დაყოვნებამ არ გამოიწვიოს მტკიცებულებების დაკარგვა ან განადგურება, ვინაიდან დაცვის მხარე ამ უფლებით ვერ სარგებლობს, მის მიერ ჩატარებული დათვალაიერება აზრს კარგავს, როცა მისი მიზანი მტკიცებულებების მოპოვებაა. ეს უფლება დაცვის მხარისთვის თავისი არსით გამოსადეგია იმ შემთხვევაში, თუ მას შემთხვევის ადგილის ან გარემო პირობების შესწავლა სურდა. ამ შემთხვევაში გასულ დროს მნიშვნელობა არ აქვს და დათვალაიერება მაინც შედეგიანი იქნება. სხვა შემთხვევაში, დაცვის მხარე თითქმის ყოველთვის მოკლებულია დათვალაიერების შედეგად მტკიცებულებების მოპოვების შესაძლებლობას.

იგივე შეიძლება ითქვას ქონებაზე ყადაღის დადებასთან დაკავშირებით. მართალია, დაცვის მხარეს აქაც აქვს შესაძლებლობა სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით ყადაღა დაედოს ბრალდებულის, ან მასთან დაკავშირებული პირის ქონებას ან საბანკო ანგარიშებს, თუმცა დასაბუთებული ვარაუდის შემთხვევაში, რომ ქონებას გადამალავენ ან განადგურებენ, გადაუდებელი აუცილებლობით პროკურორი უფლებამოსილია ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ დადგენილება გამოიტანოს. რა თქმა უნდა, დაცვის მხარე ამ უფლებით ვერ სარგებლობს და სასამართლოსთვის შუამდგომლობით მიმართვამდე სრულიად შესაძლებელია ქონების გადამალვა ან განადგურება, რასაც შეიძლება არსებითი მნიშვნელობა ჰქონდეს დაცვის მხარის პოზიციისათვის.

გამოძიება ძირითად შემთხვევაში მაშინ არის ნაყოფიერი, როცა საგამოძიებო მოქმედებების განხორციელება იწყება დროულად, რაც უზრუნველყოფს მტკიცებულებების მოპოვებას. გადაუდებელი აუცილებლობისას საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებაც სწორედ ამ მიზანს ემსახურება, რომ დროში დაყოვნებით არ მოხდეს საქმისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის დაკარგვა ან განადგურება.

პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როცა ბრალდების მხარე აღნიშნული უფლებით სარგებლობს და სწორედ გადაუდებელი აუცილებლობის პირობებში ახერხებს მტკიცებულების მოპოვებას, მაგრამ როგორ უნდა მოიქცეს დაცვის მხარე, მაშინ, როცა მას მსგავსი უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა არ აქვს და ცალსახად სასამართლოსგან ნებართვის მიღებამდე მტკიცებულება ნადგურდება? ეს ერთი შეხედვით არა მხოლოდ თანასწორობის დარღვევა, მართლმსაჯულების სწორად განხორციელების დამაბრკოლებელი გარემოებაცაა.

მიუხედავად ზემოაღნიშნული უთანასწორო მდგომარეობისა, იდეურად დაცვისა და ბრალდების მხარის უფლებების სრული გათანაბრება შეუძლებელია. ადვოკატის აღჭურვა სრული საგამოძიებო უფლებებით მიგვიყვანდა იმ შედეგებამდე, რომ ბრალდების მხარე შეაგროვებდა მხოლოდ ბრალდებულის გამამატყუნებელ მტკიცებულებებს, გამამართლებელს კი დამალავდა, ისევე როგორც დაცვის მხარე პირიქით, შეაგროვებდა გამამართლებელს და დამალავდა გამამატყუნებელს, რაც საბოლოოდ გამოიწვევდა პროცესის ისეთ მოდიფიკაციას, რომ სასამართლო ვეღარ შეძლებდა ჭეშმარიტების დადგენას და მხარეები ორინტირებული იქნებოდნენ უშუალოდ საქმის მოგებაზე.⁶⁹

3.2. მხარეთა შეჯიბრებითობა და თანასწორობა სასამართლოში

სამოქალაქო საზოგადოების წევრს უფლება აქვს, ეძებოს სამართალი. იგი ვალდებულია წარდგეს სასამართლოს წინაშე და მხოლოდ იქ მიიღოს სადავო უფლება.. სასამართლო წარმოება მხარეებს შესაძლებლობას აძლევს, წარმოადგინონ თავიანთი მტკიცებულებები და სამართლებრივი საფუძვლები, ხოლო მოსამართლე უნდა გაერკვეს საქმის არსში.⁷⁰

შეჯიბრებითობის პრინციპი სამართლიანი სასამართლოს უფლების შემადგენელი ელემენტია. შეჯიბრებითობა ხშირად თეორიულად გამოხატულია, როგორც სასამართლოში მოდავე მხარეთა მიერ თავიანთი უფლებებისა და ინტერესების დაცვის იურიდიულად თანაბარი შესაძლებლობების რეალიზაცია.⁷¹

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლო ვალდებულია მხარეებს თავიანთი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები ისე, რომ არც ერთ მათგანს არ მიანიჭოს უპირატესობა. ამავდროულად, სასამართლოს ეკრძალება ბრალდების დამადასტურებელ ან დაცვის ხელშემწყობ მტკიცებულებათა დამოუკიდებლად მოპოვება და გამოკვლევა.⁷² სწორედ აღნიშნული ნორმა ეხება სასამართლო პროცესის შეჯიბრებითობასა და თანასწორობას.

⁶⁹ ვ. მაჭარაშვილი, საადვოკატო გამოძიება: თეორიისა და პრაქტიკის პრობლემები, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბ., 2018, გვ. 23

⁷⁰ Г. Гегель, Философия права, „ Мысль,“ 1990, СТ. 258-259

⁷¹ კ.ვ. გუცენკო, ლ.ვ. გოლოვკო, ბ.ა. ფილიმონოვი, დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბ., 2007, გვ. 35

⁷² საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009, 27/04/2021 მდგომარეობით

მხარეთა შეჯიბრებითობა და თანასწორობა ყველაზე კარგად სასამართლო განხილვის დროს ვლინდება, რადგან როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, შეჯიბრებითობა გულისხმობს იმას, რომ მხარე იყოს მოსმენილი, ხოლო სასამართლო პროცესზე ხდება მხარეთა მოსმენა მათ მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციისა და მათ აქვთ შესაძლებლობა კომენტარი გააკეთონ მეორე მხარის არგუმენტებსა და მტკიცებულებებზე. მიუხედავად იმისა, სასამართლო სხდომა ზეპირი ფორმით იმართება თუ წერილობით.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვის მნიშვნელოვან გარანტიად მიიჩნია საქმის ზეპირი განხილვა: „საქმის ზეპირი მოსმენა ითვალისწინებს რა, მხარეთა უშუალო მონაწილეობას საქმის განხილვაში, რაც ნიშნავს მათ შესაძლებლობას, წარადგინონ მტკიცებულებები, გამოთქვან მოსაზრებები, დაიცვან თავი პირადად ან დამცველის მეშვეობით, სწორედ ამ გზით, წარმოადგენს მნიშვნელოვან გარანტიას პროცესის შეჯიბრებითობის, დაცვის უფლებით ადეკვატურად სარგებლობისთვის, ამასთან, საბოლოოდ, უზრუნველყოფს მხარეთა შესაძლებლობას, უკეთ დაიცვან საკუთარი ინტერესები, გავლენა მოახდინონ საქამის გადაწყვეტაზე, ხელი შეუწყონ სწორი და სამართლიანი გადაწყვეტილებების მიღებას.“⁷³

შესაბამისად, მხარეთა შეჯიბრებითობა და თანასწორობა სრული სახით სასამართლოში ვლინდება, სადაც სასამართლო არ ასრულებს დაცვის ან ბრალდების ფუნქციას. მისი ვალდებულება მხარეებისათვის სათანადო პირობების შექმნაა, რათა მათ მოახერხონ საკუთარი უფლებების განხორციელება.

2009 წელს განხორციელებული ცვლილებები ასევე შეეხო დაკითხვის შესაძლებლობას მხოლოდ სასამართლოში. შესაბამისად, დაკითხვა წარმოადგენს ერთდროულად როგორც ინფორმაციის მოპოვების, ასევე მისი შემოწმების საშუალებას, ვინაიდან დაკითხვისას ხდება პირის მიერ ადრე მოწოდებული ინფორმაციის სარწმუნოების გადამოწმება.⁷⁴ საქართველოს კანონმდებლობა მოწმის სასამართლოში დაკითხვის 2 მოდელს იცნობს. ესენია პირდაპირი და ჯვარედინი დაკითხვა. თითოეულ მათგანს თავისი განხორციელების წესი აქვს. სწორედ მოწმეების დაკითხვის შედეგად ხდება ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაციის, მტკიცებულებების მიღება/მოპოვება.

⁷³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2014 წლის 23 მაისის გადაწყვეტილება, საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.“ პარ. II- 61

⁷⁴ ლ. ფაფიაშვილი, მ. ივანიძე, ი. აქუბარდია და სხვები, საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი, კერძო ნაწილი. თბ., 2017, გვ. 405

ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ მხარეების თანასწორობა მიიღწევა მაშინ, როცა ბრალდებულს ჰყავს ადვოკატი. ლ. მსხილაძე მიიჩნევს, რომ მხარეთა თანასწორობის უზრუნველყოფის მიზნით ადვოკატის მონაწილეობა გამოძიების ეტაპიდან სავალდებულო უნდა იყოს ყველა კატეგორიის საქმეზე, რომელშიც ბრალდებულ თავს არ ცნობს დამნაშავედ, მით უმეტეს, თუ ის პატიმარია.⁷⁵ საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ადვოკატის ყოლას ყველა შემთხვევაში. არადა შეჯიბრებით სამართალწარმოებაში თითქმის შეუძლებელია მხოლოდ ბრალდებული დაუპირისპირდეს ბრალდების მხარეს, კვალიფიციური ადვოკატის დახმარების გარეშე.

მხარეთა შეჯიბრებითობა და თანასწორობა სამართლიანი სასამართლოს უფლების შემადგენელი ელემენტია და წარმოადგენს როგორც ინკვიზიციური, ისე შეჯიბრებითი სისხლის სამართლის ნაწილს.⁷⁶

შეჯიბრებით სისხლის სამართლის პროცესში საპირისპიროდ ინკვიზიციური პროცესისა მინიმალიზებულია სასამართლოს შინაარსობრივი ჩართულობა საქმის გარემოებების გამორკვევაში და იგი შემოიფარგლება მხარეთა მიერ წარდგენილი მტკიცებულებების შეფასებით. ამ პირობებში სამართლიანი სასამართლო პროცესის უზრუნველყოფისათვის განსაკუთრებულ როლს იძენს საქართველოს კონსტიტუციითა და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული პროცესის შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპები და მათი თანმხლები საპროცესო გარანტიები.⁷⁷

შეჯიბრებითი პროცესი სასამართლოში ხასიათდება იმით, რომ მოსამართლე ნეიტრალური პერსონაა, რომელსაც არ აქვს უფლება რომელიმე მხარის სასარგებლოდ რამენაირად იმოქმედოს პროცესის მიმდინარეობისას. ის განიხილავს იმ საქმეს, რომელშიც ბრალდებულად პირი ცნო სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანომ. სასამართლოს დამოუკიდებლობიდან გამომდინარეობს შეჯიბრებითი პროცესის წესი, რომლის მიხედვითაც, თუ არ არის ბრალდება, - არ არის პროცესი.

სისხლის სამართლის პროცესის შეჯიბრებითი ხასიათიდან გამომდინარე, მოსამართლის ფუნქციები შეზღუდულია. არაერთხელ აღინიშნა, რომ ინკვიზიციური მოდელისგან განსხვავებით,

⁷⁵ ლ. მსხილაძე, დაცვის მხარის როლი შეჯიბრებით სამართალწარმოებაში. ჟურნალი „ადვოკატი“ N3-4, 2014, გვ. 59-62

⁷⁶ თ. ლალიაშვილი, ანგლო-ამერიკული და კონტინენტურ-ევროპული სისხლის სამართლის პროცესის სისტემების ჰარმონიული კონვერგენცია და მისი მნიშვნელობა ქართული სისხლის სამართლის სისტემისათვის, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ N4(52), 2016, გვ. 28.

⁷⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის N1/4/809 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ტიტუკო ჩორგოლიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-6

სადაც მოსამართლეს ფართო უფლებები აქვს, შეჯიბრებით სამართალწარმოებაში მოსამართლე არბიტრის როლში გამოდის.

განსხვავებით შეჯიბრებითი პროცესისგან, ინკვიზიციურ სისხლის სამართლის პროცესში წინასასამართლო ეტაპზე მოსამართლე გამოდის როგორც მხარე, რომელმაც უნდა დაადგინოს სიმართლე, რითაც მომავალში მივიღებთ სამართლიან სასამართლო განხილვას.⁷⁸ ინკვიზიციურ სისხლის სამართლის პროცესში კანონის მოთხოვნაა, რომ მოსამართლემ გამოეველინოს ჭეშმარიტება, თუმცა იგულისხმება არა ფაქტების (გარემოებების) ობიექტურ ჭეშმარიტებასთან შესაბამისობა, არამედ მოსამართლის დასკვნები, რომლებსაც კანონის მოთხოვნით აკეთებდა.⁷⁹

შეჯიბრებითი პროცესის ძირითადი მახასიათებელი ნიშანი კი ისაა, რომ მოსამართლე არ არის უფლებამოსილი შეითავსოს ბრალდების ან დაცვის ფუნქცია. ის ასევე არ არის უფლებამოსილი გასცდეს ბრალდების ფარგლებს. ასეთ დროს მამოძრავებელი ძალაა ბრალდების ირგვლივ დავა.⁸⁰ აღნიშნულთან მიმართებით ავტორები მიუთითებენ, რომ სისხლის სამართლის პროცესის შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპით აგებამ განაპირობაბ ის, რომ სასამართლო აღარ წარმოადგენდა სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოს და არ ასრულებდა დაცვისა და ბრალდების ფუნქციას.⁸¹

მთლიანი პროცესი დამოკიდებულია მხარეთა პაექრობაზე, რომელსაც მოსამართლე ადევნებს თვალს. ისმენს მათ მოსაზრებებს, განიხილავს მათ მტკიცებულებებს და ამ ორი მხარის მიერ წარმოდგენილ ფაქტებზე დაყრდნობით იღებს გადაწყვეტილებას. მოსამართლის ერთადერთი ფუნქცია ამ პაექრობის დროს მხარეების თანასწორუფლებიანობის დაცვაა პროცესის მსვლელობისას.

მოსამართლე არც ბრალდების მხარეს ემხრობა და არც დაცვის მხარეს, შესაბამისად არ ეხმარება მათ მტკიცებულებების მოპოვებასა და წარმოდგენაში, რაც ინკვიზიციური პროცესის ამოსავალი წერტილია. ამას უზრუნველყოფს სსსკ-ის 228-ე მუხლის მე-2 ნაწილი რომლის მიხედვითაც, „თუ მხარე არ აპირებს რომელიმე პირის მოწმედ დაკითხვას სასამართლოში,

⁷⁸ A. Ringalda, Inquisitorial or Adversarial? The role of the Scottish prosecutor and special defences, Utrecht Law Review, Vol.6, Issue 1, 2010, 119.

⁷⁹ კ.ფ. გუცენკო, ლ. ვ. გოლოვკო, ბ.ა. ფილიმონოვი, დასავლეთ სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბ., 2007, გვ. 12-13

⁸⁰ მ. მამნიაშვილი, ჯ. გახოვიძე, ი. გაბისონია, საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2013, გვ. 61-62

⁸¹ აპ. ვალიაშვილი, სისხლის სამართლის პროცესი, თბ., 2002, გვ. 40

სასამართლოს მიერ ამ პირის საკუთარი ინიციატივით გამოძახება და დაკითხვა დაუშვებელია.⁸² ის მხოლოდ კანონისა და შინაგანი რწმენის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას.

გ. ჩაკვეტაძე აღნიშნავს, რომ მოსამართლის უფლებები იმდენად შევიწროვდა, რომ დამოუკიდებელი არბიტრის როლიც უკვე ფუფუნებად შეიძლება ჩათვალოს.⁸³ პროცესზე დაკვირვების შედეგად თვალსაჩინოა, რომ მხარეები უფრო მეტი უფლებით სარგებლობენ, ვიდრე თვითონ სასამართლო. მოსამართლის ერთადერთი უფლება პროცესის მსვლელობაში ჩარევის მხრივ, დამაზუსტებელი კითხვის დასმაა. ისიც გამონაკლის შემთხვევებში და მხარეებთან შეთანხმების შედეგად. ცხადია, დამაზუსტებელი კითხვის დასმის შესაძლებლობა, სამართლიანი სასამართლოს უზრუნველყოფის აუცილებლობითაა განპირობებული, მაგრამ მხოლოდ დამაზუსტებელი კითხვის დასმის უფლების არსებობა მოსამართლის ერთგვარი მხოქავი ბერკეტია.

ცალსახად შესაძლებელია იმის თქმა, რომ კითხვის დასმის უფლებების მსგავსი შევიწროვება აკნინებს მოსამართლის როლს. თუ სისხლის სამართლის პროცესს წარმართავს სწორედ მოსამართლე, მაშინ რატომ არ უნდა ჰქონდეს უფლება თავისუფლად დასვას კითხვა? ან რატომ სჭირდება ნებართვის აღება მხარეებისაგან? მაშინ, როცა სამართლიანი სასამართლოს პრინციპზე ვსაუბრობთ, სადაც მოსამართლემ უნდა გადაწყვიტოს ბრალდებულის ბედი, მისთვის მხოლოდ დამაზუსტებელი კითხვის დასმის უფლება და პროცესის მხარეებზე დამოკიდებულება თავისთავად მოსამართლის პროცესუალურ-სამართლებრივ როლს აკნინებს.

კანონმდებლის მიერ აღნიშნული ნორმის შემოღება შეჯიბრებითი პროცესის დაცვის მიზნით ხორციელდება. ეს ნორმა პირველ რიგში ემსახურება იმას, რომ მოსამართლის მიერ კითხვის დასმით არ მოხდეს პროცესის მიმდინარეობის სხვა კუთხით წყევანა. ვინაიდან მოსამართლე ნეიტრალურია და ის არცერთ მხარეს არ ემხრობა, მის მიერ დასმული კითხვა თავისუფლად შესაძლებელი რომელიმე მხარისათვის სასარგებლო აღმოჩნდეს. ამიტომაცაა ნორმაში მითითებული, რომ თუნდაც დამაზუსტებელი კითხვის დასმას მხარეთა თანხმობა სჭირდება.

მოსამართლე არც ისეთი უფუნქციოა, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს. გამოძიების სტადიაზე მას მნიშვნელოვანი როლი აკისრია მტკიცებულებების მოპოვების კუთხით, ვინაიდან, ისეთ საგამოძიებო მოქმედებებს, რომლებიც ზღუდავენ ადამიანის უფლებებს, სჭირდება

⁸² საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009, 27/04/2021 მდგომარეობით

⁸³ გ. ჩაკვეტაძე, მოსამართლის როლი შეჯიბრებითობის პრინციპით აგებულ ქართულ სისხლის სამართლის პროცესში (დამოუკიდებელი არბიტრი თუ სამართლიანი მსაჯული), ჟურნალი „თანამედროვე სამართლის მიმოხილვა“, N1(2), თბ., 2014, გვ. 30

სასამართლოს განჩინება, რომელსაც თავისთავად მოსამართლე გასცემს. მხოლოდ მოსამართლის უფლებამოსილებაა ასევე აღკვეთის ღონისძიების შეფარდება ბრალდებულისათვის. ამავდროულად, მხარეთა მიერ მტკიცებულებების მოპოვების შემდეგ, მხოლოდ მოსამართლეა უფლებამოსილი შეაფასოს ამ მტკიცებულებათა დასაშვებობა.

თავად მტკიცებულებების შეფასებას სერიოზული დატვირთვა აქვს სამართალწარმოებაში, რადგან მტკიცებულებებზეა დამყარებული პროცესის ბედი. მოსამართლე მტკიცებულებების დასაშვებობა-არდასაშვებობას ზომავს იმით, განსახილველ საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულება პროცესუალური ნორმის დარღვევითაა მოპოვებული, თუ არა. მტკიცებულებების დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტის მნიშვნელობაზე მეტყველებს, მაგალითად, - თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის ერთ-ერთ განჩინება, სადაც საუბარია შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვაზე და სასამართლოს როლზე ამ პროცესში. პროკურორმა გაასაჩივრა სასამართლოს განჩინება, რომელმაც დაუშვებლად ცნო ბრალდების მხარის მტკიცებულება, დათვალიერების ოქმი თარიღის მიუთითებლობის გამო. ბრალდების მხარემ გამოთქვა პოზიცია, რომ ეს იყო სასამართლოს მხრიდან შეჯიბრებითი პროცესის დარღვევა, რადგან აღნიშნული მტკიცებულება დაცვის მხარეს სადაო არ გაუხდია, სასამართლომ კი საკუთარი ინიციატივით დაუშვებლად ცნო ის.

მოსამართლე არის გარანტი იმისა, რომ დადგინდეს სიმართლე და ადამიანის ბედი (ბრალდებულის) სწორად გადაწყდეს. ამიტომაც მოსამართლის ფუნქცია ყველაზე რთული და საპასუხისმგებლო. ამასთან, როგორც აღინიშნა, სასამართლოს არ შეუძლია დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება მტკიცებულების მოსაპოვებლად. სასამართლო აზრს არ გამოთქვამს ბოლო ეტაპამდე და გადაწყვეტილებას იმის მიხედვით იღებს, რისი გამოკვლევაც სასამართლოს დარბაზში მოხდება.

აღნიშნულთან მიმართებით პრობლემა შესაძლებელია შეიქმნას სწორედ შეჯიბრებითი პროცესისათვის დამახასიათებელი „პაექრობის“ პირობებში. დავას არ იწვევს ის ფაქტი, რომ პროცესს იგებს ის მხარე, რომელიც უკეთესადაა მომზადებული, უკეთესი მტკიცებულებები აქვს და ახერხებს მოწინააღმდეგე მხარის მტკიცებულებების გაქარწყლებას. ხოლო ისეთ ვითარებაში, როცა აშკარაა დაცვის მხარის უდანაშაულობა, მაგრამ ბრალდებასთან შედარებით სუსტია, ვერ იძიებს მტკიცებულებებს, ვერ აქარწყლებს მეორე მხარის მტკიცებულებებს და ვერ წარმართავს პროცესს ხარისხიანად, როგორ უნდა მოიქცეს მოსამართლე? არ აქვს თავისუფლად კითხვების დასმის შესაძლებლობა, არ აქვს უფლება განახორციელოს რაიმე ქმედება, რითიც დაცვის მხარე შეძლებს საჭირო მტკიცებულებების მოპოვებასა და პოზიციის გამყარებას. მას გადაწყვეტილება

გამოაქვს მხოლოდ იმ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, რომელიც საქმის განხილვისას იყენებენ მხარეები და როცა დაცვის მხარის მიერ არ არის საკმარისი მტკიცებულება წარმოდგენილი, რათა გამართლდეს ბრალდებული, მაშინ საკანონმდებლო ჩარჩოების გამო უდანაშაულო ადამიანი უნდა აღმოჩნდეს ციხეში?

შეჯიბრებით პროცესში პრობლემა აშკარაა მაშინ, როცა დაცვის მხარე სუსტია და სწორედ ამ კუთხით ატარებს ნაკლს. ამიტომაც, იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრება, რომ მიზანშეწონილია სასამართლოს შეთავსებული ჰქონდეს ინკვიზიციური ელემენტებიც, რაც გულისხმობს მაგალითად შეხედულებისამებრ სადაო სიტუაციების გასარკვევად სასამართლომ შეძლოს მოიპოვოს ფაქტის შეფასებისათვის საჭირო მტკიცებულებები ისეთ საკითხებზე, რომელზეც არცერთი მხარე არ საუბრობს. მოითხოვოს ექსპერტიზა, როცა ეს ცალსახად საჭიროა, თუმცა ბრალდების მხარეს ინტერესი არ გააჩნია აღნიშნულთან მიმართებით, დაცვის მხარეს კი შესაძლებლობა არ აქვს და სხვა.

მიუხედავად ნებისმიერი ჩარევისა, სასამართლოს მოქმედება აუცილებლად ნეიტრალურ ნიადაგზე უნდა განხორციელდეს. ეს არ უნდა იყოს მიმართული რომელიმე მხარის პოზიციის განმტკიცებისაკენ, არამედ ჭეშმარიტების დადგენისაკენ, რასაც თავისთავად კონტროლის მექანიზმების დაწესება სჭირდება, რათა ყველა შემთხვევაში სასამართლო დამოუკიდებელ ორგანოდ დარჩეს.

3.2.2 მხარეთა შეჯიბრებითობა და თანასწორობა ნაფიც მსაჯულთა

სასამართლოში

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო მსოფლიოში საკმაოდ გავრცელებული ინსტიტუტია, რომლის მიზანიც კონკრეტულ განსახილველ საქმეზე სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებაა. პირის დამნაშავეობის საკითხის გადაწყვეტისას, მართლმსაჯულება ხორციელდება რიგითი მოქალაქეების - ნაფიც მსაჯულების მიერ. სხვაგვარად, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო

არაპროფესიონალი მოსამართლეების მონაწილეობას გულისხმობს.⁸⁴ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის სამშობლოდ დიდი ბრიტანეთი ითვლება.

მსოფლიოს სამართლებრივ სივრცეში არსებობს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს კლასიკური იგივე ბრიტანული და შერეული მოდელი. კლასიკური მოდელი დაამახასიათებელია საერთო სამართლის სისტემის ქვეყნებში, სადაც მოსამართლეებსა და მსაჯულებს შორის ფუნქციები მკაცრადაა გამიჯნული და პირის ბრალეულობის საკითხს წყვეტენ ნაფიცი მსაჯულები. მოსამართლე იხილავს მხოლოდ სამართლებრივ საკითხებს და განსაზღვრავს სასჯელს.⁸⁵ მსგავსი ნაფიც მსაჯულთა სასამართლო წარმოადგენს ორ სასამართლოს ერთი სახურავის ქვეშ. ერთია ფაქტების სასამართლო, მეორეა ნორმების შემფარდებელი სასამართლო.⁸⁶ რაც შეეხება შერეულ მოდელს, ის დაამახასიათებელია კონტინენტური სამართლის სისტემის ქვეყნებისთვის. განსხვავებით კლასიკური მოდელისაგან, აქ მოსამართლე და მსაჯულები ერთად წყვეტენ პირის ბრალეულობისა და სასჯელის შეფარდების საკითხს.

საქართველოში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის კლასიკური მოდელი დამკვიდრდა, მაგრამ ბოლომდე არა, რადგან სასჯელის დანიშვნის სხდომაზე შეიძლება ნაფიც მსაჯულებიც მონაწილეობდნენ, თუ არცერთი მხარე არ განაცხადებს უარს და მათ მიერ გაცემული სასჯელის დამძიმების ან შემცირების რეკომენდაცია სულაც არ არის სარეკომენდაციო ხასიათის, არამედ სავალდებულოა მოსამართლისათვის.⁸⁷

სისხლის სამართლის სისტემაში 2009 წელს განხორციელებული ცვლილებების შედეგად დაინერგა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, სადაც მოქალაქეები გადამწყვეტ როლს თამაშობენ პირის ბრალეულობისა თუ უდანაშაულობის საკითხის გადაწყვეტაში. მოსამართლე ამ შემთხვევაში კანონის ექსპერტია, რომელსაც დამკვირვებლის ფუნქცია აქვს.

აღნიშნულ ცვლილებებამდე ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი ქართული სამართლებრივი სისტემისათვის უცხო იყო და არ იცნობდა, თუ არ ჩავთვლით საბჭოთა კავშირის დროს არსებულ სახალხო მართლმსაჯულებას, რომელიც ნაფიც მსაჯულთა სისტემის მაგვარი იყო, თუმცა, ვერ გაამართლა და შემდეგ გაუქმდა.

⁸⁴ მ. უგრეხელიძე, ჰაინრიხ ბიოლის ფონდში 2010 წლის 3 ნოემბერს გამართული საჯარო დისკუსია თემაზე: „ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი საქართველოში“ გვ. 2

⁸⁵ ი. აქუბარდია, შეჯიბრებითობის ქართული მოდელის ზოგიერთი ასპექტი. გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი. 2016, გვ. 13

⁸⁶ მ. უგრეხელიძე, ჰაინრიხ ბიოლის ფონდში 2010 წლის 3 ნოემბერს გამართული საჯარო დისკუსია თემაზე: „ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი საქართველოში“ გვ. 2

⁸⁷ იქვე, გვ. 14

შეჯიბრებითობის პრინციპი ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტში გამოკვეთილად აისახა და ყველაზე მკაფიოდაც მისი მნიშვნელობა სწორედ ნაფიც მსაჯულთა მიერ განსახილველ საქმეებში ვლინდება. ეს კი, როგორც ავტორები მიუთითებენ იმაში გამოიხატება, რომ სწორედ მხარეთა მომზადებაზე, პროფესიონალიზმსა და კომპეტენტურობაზეა დამოკიდებული, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებენ ნაფიც მსაჯულები, როგორ დაარწმუნებენ მათ პირის ბრალეულობასა და უდანაშაულობაში.⁸⁸

მოიაზრება, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო იარსებებს მხოლოდ იქ, სადაც ერთმანეთისგან იურისდიქციულად დამოუკიდებელი, ფუნქციურად ავტონომიური ნაწილებისგან შემდგარი სასამართლო ორგანო არსებობს. აქედან კი არაპროფესიონალ ნაწილს ნაფიც მსაჯულები წარმოადგენენ, რომლებიც მეორე ნაწილისაგან - პროფესიონალი მოსამართლეებისგან დამოუკიდებლად მათი რწმენის საფუძველზე წყვეტენ საკითხს. სამართლის ყველა სხვა საკითხი კი პროფესიონალი მოსამართლეების მიერ წყდება, ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე. ი. გაბისონია ამას ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს „ოქროს წესს“ უწოდებს.⁸⁹

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ყველაზე დემოკრატიულ ფორმად მიიჩნევა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მასში მაღალია თავად საზოგადოების ჩართულობა და ისინი გამოდიან მოსამართლის როლში. თავისი შინაარსით ნაფიც მსაჯულთა სასამართლო საზოგადოების სამოქალაქო აქტიურობასა და მართლმსაჯულების განხორციელებაში მოქალაქეთა პირად პასუხისმგებლობას გულისხმობს. აღნიშნული ინსტიტუტის მომხრეთა აზრით, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი მიჩნეულია სამართლისა და სამართლიანობის დამკვიდრების, კანონიერებისა და მართლწესრიგის გარანტად, ვინაიდან მასში ხალხის წარმომადგენლები მონაწილეობენ.⁹⁰

ნაფიც მსაჯულები არიან პირები, რომლებიც არ წარმოადგენენ საქმის მცოდნე პროფესიონალ პირებს და ისე წყვეტენ ბრალდებულის საქმეს. მთავარი საკითხი იმაში მდგომარეობს, რომ მოსამართლისგან განსხვავებით, რომელსაც დროთა განმავლობაში უყალიბდება ნეიტრალური პოზიციის შენარჩუნების ჩვევა, რიგითი მოქალაქე ემორჩილება საკუთარ ემოციებს. ადამიანთა უმრავლესობა იშვიათ შემთხვევაში იღებს ობიექტურ გადაწყვეტილებას და ხშირად ემოციებზე დაყრდნობით. ნაფიცი მსაჯულების თემის განხილვისას ეს ფაქტორი შეცდომის დაშვების შანსს ზრდის. აღნიშნულთან მიმართებით მსჯელობენ

⁸⁸ მ. მამნიაშვილი, გ. გახოკიძე, ი. გაბისონია, სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილი, მეორე გამოცემა, თბ., 2013, გვ. 89

⁸⁹ ი. გაბისონია, ნაფიც მსაჯულთა, მაგისტრატთა და მომრიგებელი სასამართლოები, თბ., 2008, გვ. 85

⁹⁰ თ. ლილუაშვილი, „გამართლებს თუ არა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო?!“ ჟურნალი „სამართალი“, N5,4, 1992, გვ. 2-5

ავტორებიც, - არაპროფესიონალი მოსამართლეები - ნაფიც მსაჯულები მტკიცებულებათა შეფასების დროს მოქმედებენ თავიანთი ინტუიციით და გამოაქვთ არამოტივირებული (დაუსაბუთებელი) ვერდიქტი, რის გამოც ვერ ხერხდება მისი ლოგიკურობის შემოწმება.⁹¹

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ ფაქტის სწორად დადგენა 12 პირის მსჯელობის შედეგად უფრო შესაძლებელია, ვიდრე მარტო ერთი მოსამართლის მიერ.⁹² ამ მოსაზრებაზე დათანხმება რთულია, რადგან ასეთ შემთხვევაში პროფესიონალი მოსამართლე სასამართლო განხილვასა და მართლმსაჯულების განხორციელებაში როგორც ზედმეტი რგოლი ისე ჩანს. სწორედ ამასთან მიმართებით კანონმდებლის მიერ სსსკ-ის 161-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებულია შემთხვევა, როცა სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია გააუქმოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გამამტყუნებელი ვერდიქტი და დანიშნოს ნაფიც მსაჯულთა ახალი შემადგენლობის შერჩევის სხდომის თარიღი, თუ აღნიშნული ვერდიქტი აშკარად ეწინააღმდეგება მტკიცებულებათა ერთობლიობას, უსაფუძვლოა და გამამტყუნებელი ვერდიქტის გაუქმება სამართლიანი მართლმსაჯულების აღსრულების ერთადერთი შესაძლებლობაა.“ ეს დებულება სწორედ იმაზე აპელირებს, რომ პროფესიონალ მოსამართლეზე სწორი გადაწყვეტილების მიღება არაპროფესიონალ ნაფიც მსაჯულებს მხოლოდ რაოდენობის შესაბამისად არ შეუძლიათ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცალსახად, არ მიმაჩნია, რომ ნაფიც მსაჯულებს მოსამართლეზე მეტად შესწევდეთ უნარი მართლმსაჯულება სწორად და სამართლიანად განახორციელონ, თუმცა ფაქტია თავად შეჯიბრებითი პროცესის არსისათვის ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის არსებობა მნიშვნელოვანი და აუცილებელი ფაქტორია.

⁹¹ თ. ლილუაშვილი, „გამართლებს თუ არა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო?!“ ჟურნალი „სამართალი“, N5,4, 1992, გვ. 2-5

⁹² ი. გაბისონია, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო: წარმოშობა-ინსტიტუციონირებისა და თანამედროვე სტატუს-კვოს საკითხები. ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, N5(7), 2005, გვ. 64

თავი IV. საერთაშორისო კანონმდებლობა

4.1. შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპის მოქმედება ანგლო-ამერიკული სამართლის სისტემაში

2009 წელს განხორციელებული ცვლილებების შედეგად, საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი აიგო შეჯიბრებით სამართალწარმოებაზე. ამგვარი სისხლის სამართლის საპროცესო სისტემა ძირითადად დამახასიათებელია ინგლისურ-ამერიკული საპროცესო სისტემისთვის.

ანგლო-ამერიკულ სამართალს განეკუთვნება ინგლისის სამართალი, დიდი ბრიტანეთის დომინიონი ქვეყნებისა და ბრიტანეთის იმპერიის ყოფილი კოლონიების სამართალი, ასევე აშშ-ს სამართალი (Common law).⁹³

ოქსფორდელ მკვლევართა აზრით, ინგლისურ-ამერიკული მოდელი, ძირითადად ორიენტირებულია არა ჭეშმარიტების დადგენისკენ, არამედ შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით, საქმეში არსებულ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე დაყრდნობით, სიმართლის დამტკიცებისაკენ.⁹⁴

საერთო სამართლის ქვეყნების (ანგლო-ამერიკული სამართლის ქვეყნები) სამართლებრივი სისტემები დაფუძნებულია ე.წ წინააღმდეგობრივ საწყისებზე, რაც პროცესზე წარმოდგენილ ორ დაპირისპირებულ მხარეს გულისხმობს, - ადვოკატი, რომელიც ბრალდებულის დამცველია და ბრალმდებელი, რომელიც სახელმწიფოს წარმომადგენელია.

აღნიშნულ სამართლებრივ სისტემას ახასიათებს შეჯიბრებითობა, როგორც ორი თანასწორუფლებიანი მხარის დაპირისპირება. მხარეებს მტკიცებულებათა მოპოვების პროცესში თანაბარი უფლებები აქვთ, ხოლო მოსამართლე ნეიტრალური არბიტრის როლშია წარმოჩენილი, რომელიც გადაწყვეტილებას წარმოდგენილი მტკიცებულებების შესაბამისად იღებს.

ინგლისური სისხლის სამართლის პროცესი ყოველთვის ერთნაირად არ ხასიათდება. ხშირად საუბრობენ მასზე, როგორც შეჯიბრებითზე (adversarial). ხოლო რიგ შემთხვევებში ტერმინი ბრალდებითი (accusatorial) გამოყენება. ინგლისურ სისტემაში მხარეები განიხილებიან თანაბარი იურიდიული შესაძლებლობების მქონეებად, რომლებიც დამოუკიდებლად მოიპოვებენ და

⁹³ გ. ხუბუა, სამართლის თეორია, თბ. 2004, გვ. 214

⁹⁴ A. Sanders, From Suspect to Trial, The Oxford handbook of Criminology, 5th edn. Oxford University Press, 2012, P. 773

წარადგენენ მტკიცებულებებს და მათზე დაყრდნობით ცდილობენ სასამართლოს დარწმუნებას თავიანთი პოზიციის სისწორეში. სასამართლოს განხილვის დროს მოსამართლე მხარეთა პოზიციით არის შეზრდული და აფასებს მხოლოდ ბრალდებისა და დაცვის მხარის მიერ - მაგალითად, მოწმეებისა და ექსპერტების ჯვარედინი (cross examination) გზით - წარდგენილ მტკიცებულებებს.⁹⁵

სისხლის სამართლის პროცესი ინგლისში იყოფა წინასასამართლო გამოძიებად და არსებით განხილვად. წინასასამართლო ეტაპზე ჯერ საპოლიციო გამოძიება ტარდება და ამის შემდეგ პოლიცია საქმის მასალებს გადასცემს გვირგვინის საბრალდებო სამსახურს.

მტკიცებულებათა მოპოვებისა და საპროცესო დამაგრების მხრივ ანგლო-საქსურ სამართლის ქვეყნებში ბრალდების მხარისათვის ობიექტური გამოძიების ვალდებულება არ არის. შეჯიბრებითი პროცესი იწყება საპოლიციო გამოძიებით და ფოკუსირებულია ბრალდებულის საწინააღმდეგო მტკიცებულებების მოპოვებაზე. ესე იგი, ბრალდების მხარე მიზანმიმართულია მხოლოდ მისი პოზიციის გამყარებისათვის საჭირო მტკიცებულებების მოპოვებისკენ. პროცესის თითოეული მხარე დამოუკიდებლად აგროვებს მტკიცებულებებს და ქმნის თავისი საქმისათვის საჭირო მასლებს, რომლის შედეგადაც ეკისრებათ ვალდებულება ერთმანეთს გააცნონ მოპოვებული მტკიცებულებები.

საინტერესო ფაქტია, რომ ანგლო-ამერიკულ სამართლის სისტემაში ზეპირი მტკიცებულებები უპირატესობით სარგებლობენ, რაც ინგლისური ჩვეულებითი სამართლიდან იღებს საფუძველს. „ინგლისური პროცესის ყველაზე მნიშვნელოვან ღირებულებად, როგორც სამოქალაქო, აგრეთვე სისხლის საქმეებზე, ითვლება ზეპირობა. ბევრად უფრო დიდი წონა აქვს პროცესზე წარმოდგენილი მოწმეების ჩვენებებს, ვიდრე წერილობითს, რომლებიც მათ მანამდე მისცეს.“⁹⁶

მტკიცების ვალდებულება ბრალდებულის მხარესაა იმ დროს, როცა ბრალდებული უარყოფს ბრალს, ესეიგი დავის არსებობის პირობებში. საქართველოს კანონმდებლობისგან განსხვავებით, ინგლისში არსებობს გამონაკლისი შემთხვევები, როცა მტკიცების ტვირთი დაცვის მხარეზე გადადის. მაგალითად კორუფციის დანაშაულთან დაკავშირებული ნორმების შემთხვევაში, ბრალდებული ამტკიცებს მის უდანაშაულობას.

⁹⁵ მ. ჰეგერი, ადვერსალური და ინკვიზიციური ელემენტები ევროპული სახელმწიფოების სისხლის სამართლის პროცესის კანონმდებლობებში, როგორც სისხლის საპროცესო სამართლის ევროპეიზაციის გამოწვევა, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი, 2016, გვ. 5

⁹⁶ Lirieka Meintjes Van Der Walt, Comparative method: Comparing legal systems and/or legal cultures? 2006, p 53.

საყურადრებოა, რომ ამერიკასა და ინგლისში მხარეები „არ არიან ვალდებულნი, ვიდრე საქმე არ გადაცემულა სასამართლოსთვის, თავიანთ საპროცესო მოწინააღმდეგეებს გააცნონ მათ წინააღმდეგ შეკრული მასალა სრული მოცულობით.“⁹⁷ ინგლისში არსებობს მტკიცებულებათა გახსნის ვალდებულება, თუმცა საინტერესოა ის ფაქტი, რომ ბრალდების მხარეს უფლება აქვს არ გახსნას ისეთი მტკიცებულებები, რომლებმაც შესაძლოა დაცვის მხარეს შეუწოს ხელი მათი პოზიციების დაცვისათვის.

ინგლისის კანონმდებლობის შესაბამისად, ბრალდებულს უფლება აქვს მეორე მხარის საპირისპიროდ ჩაატაროს კონტრგამოძიება. ადვოკატს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს მტკიცებულებების მოძიებაში. როგორც დამცველი, უფლებამოსილია წნასწარი მოკვლევის პროცესში წარმოადგინოს ბრალდებულის ინტერესები ადვოკატს უფლება აქვს წარმოადგენდეს ბრალდების ინტერესები. ანგლოსაქსურ ქვეყნებში, კანონმდებლობა უფლებას ანიჭებს ადვოკატებს, კანონიერების ფარგლებში ითანამშრომლონ სხვა ტიპის სპეციალისტებთან და ასევე მიიღონ კერძო დეტექტივის მომსახურება, საქმის მტკიცებულებათა შეგროვების მიზნით, რაც აუცილებელია დაცვის მიერ მტკიცებულებათა მოპოვებისა დახარისხებისათვის.⁹⁸

თავისთავად შეჯიბრებითია ამერიკის სისხლის სამართლის პროცესიც. აშშ-ში შეჯიბრებითი სისტემა ითვლება ხელისუფლების დანაწილების პრინციპის ერთ-ერთ გამოხატულებად. უზენაესმა სასამართლომ გამორიცხა მოსამართლეების, როგორც პოლიტიკის შემოქმედების საქმიანობა და პრაქტიკით დაადგინა, რომ ისინი მხოლოდ კანონის განმმარტებლები უნდა იყვნენ.⁹⁹ ამ მიდგომის თანახმად, ლიმიტირებული სასამართლო ხელისუფლება არა მხოლოდ იცავს პოლიტიკის შემოქმედ ხელისუფლების შტოებს, არამედ თავად სასამართლოს უხსნის გზას, რომ მხარეებს მისცეს საკუთარი უფლებების დაცვის შესაძლებლობა მიუკერძოებელი ორგანოს წინაშე.¹⁰⁰ სასამართლოში პროცესზე წარმოდგენილია ორი დაპირისპირებული მხარე, რომელიც ცდილობს სასამართლო დაარწმუნოს თავის სიმართლეში. ბრალმდებლის მიზანია სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული პირის დასჯა, ხოლო დაცვის მხარის ამ იერიშის მოგერიება¹⁰¹

⁹⁷ კ.ფ. გუცენკო, ლ.ვ. გოლოვკო, ბ.ა. ფილიმონოვი, დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბ., 2007, გვ. 114

⁹⁸ იქვე, გვ. 118

⁹⁹ C. Erin, Blondel, Victim`s Rights in an Adversary System, Duke Law Journal, Vol. 58, No. 2. 2008, p. 241 <https://www.jstor.org/stable/40040652?seq=1> ბოლოს გადამოწმებულ იქნა 08.06.2021

¹⁰⁰ იქვე, გვ. 244

¹⁰¹ იქვე, გვ. 263

უარყოფით მხარედ იურიდიულ ლიტერატურაში ასახელებენ შეჯიბრებითი პროცესის თანდაყოლილ სისუსტეს, რომელიც ბრალდების მხარის ბევრად მეტ რესურსს წარმოადგენს, დაცვის მხარისგან განსხვავებით. აღნიშნული მოიცავს პროფესიონალ საპოლიციო ძალებს და საკმაოდ მაღალი შემოსავლის მქონე პროკურორებს, რომლებიც როგორც წესი, შესაბამისი უნარ-ჩვევებითა და ენთუზიაზმით არიან აღჭურვილნი.¹⁰²

4.2. შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპის მოქმედება კონტინენტური სამართლის სისტემაში

კონტინენტური ევროპის სამართლის ოჯახი მოიცავს ნაციონალურ სამართლებრივ სისტემებს, რომლებიც დასავლეთ ევროპაში ჩამოყალიბდა რომანული, გერმანული და კანონიერი ტრადიციების საფუძველზე. კონტინენტური ევროპის სამართლის ოჯახი აღინიშნება, როგორც „Civil Law“¹⁰³

კონტინენტური სამართლის სისტემაში შემავალი ქვეყნების ჯგუფს ახასიათებთ ინკვიზიციური პროცესი, რაც გულისხმობს სახელმწიფო ორგანოების მიერ, როგორც გამოძიების, ისე სასამართლო განხილვის სტადიაზე მტკიცებულებების მოპოვებისა და გამოკვლევის უფლებამოსილებას, მიუხედავად მხარეების აპელირებისა ამ მტკიცებულებებზე.

კონტინენტური სამართლის სისტემაზე საუბრისას საინტერესოა საფრანგეთის კანონმდებლობა, რომელიც ინკვიზიციურია, თუმცა ცდილობს ბალანსის შენარჩუნებას ინკვიზიურ პროცესსა და შეჯიბრებით სისტემებს შორის.

საფრანგეთში, გამოძიების პროცესში მონაწილეობს გამოძიების მოსამართლეც, თუ პროკურორის ან დაზარალებულის ინიციატივით გადაეცემა საქმე. მოსამართლის მიერ გამოძიების სტადიაზე წარმოებულ გამოძიებას „მოსამზადებელი ინსტრუქცია“ (Instruction preparatoire) ეწოდება. სამართლის დასადგენად მას ნებისმიერი მოქმედების განხორციელების შესაძლებლობა აქვს. ის იძიებს, როგორც დამნაშავეობის, ისე უდანაშაულობის დამადასტურებელ

¹⁰² M. Craig, Bradley, Criminal Procedure (A Worldwide Study), Second Edition, North California, 2007, XVII, XIII

¹⁰³ გ. ხუბუა, სამართლის თეორია, თბ. 2004, გვ. 212

მტკიცებულებებს. პლუს ამას, სასამართლო ფუნქციებსაც ახპრციელებს, მაგალითად, შეუძლია გადაწყვეტილება მიიღოს წინასწარი პატიმრობის, ჩხრეკა ამოღებისა და სხვათა შესახებ.

მსგავსად საფრანგეთისა, იტალიაშიც ვხვდებით გამოძიების მოსამართლეს მსგავსი უფლებებით. საქართველოს კანონმდებლობასთან თუ გავავლებთ ხაზს, ვინაიდან პროცესი შეჯიბრებითი ხასიათისაა და არა ინკვიზიციური, გამოძიების გარდა მსგავს ფუნქციებს მაგისტატი მოსამართლე ითავსებს.

საფრანგეთის პროკურატურა უმეტეს შემთხვევაში პროცესის ინიციატორია, ცალკეულ შემთხვევებში კი, შეიძლება სამოქალაქო მხარეც იყოს. მისი უფლებამოსილებაა საჩივრის შეტანა გამოძიების მოსამართლის მოქმედებაზე. ავტორები მიუთითებენ, რომ „თითქმის ყველა კონტინენტური სამართლის სისტემაში პროკურატურა, ტრადიციულად განიხილება საგამოძიებო ეტაპის ძირითად წარმმართველად. იმის მიუხედავად, რომ როგორც პროკურატურა, ასევე პოლიცია ორგანიზაციულად დამოუკიდებელი ინსტიტუტები არიან და სხადასხვა სამინისტროს წინაშე არიან ანგარიშვალდებულნი, პოლიცია საგამოძიებო ფუნქციებთან მიმართებით პირდაპირ პასუხისმგებელია პროკურორის წინაშე.¹⁰⁴ მსგავსად საქართველოს კანონმდებლობისა, აქაც, პირი (ბრალდებული) „მხარე“ ხდება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შედეგად და კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებაც ამის შემდეგ ხდება.

მტკიცების ტვირთი ბრალმდებლის მხარესაა, იმ შემამსუბუქებელი მდგომარეობით, რომ დაცვის მხარე მის გამამართლებელ მტკიცებულებებს ამტკიცებს. მსგავსად ქართული კანონმდებლობისა, ბრალდების მხარე მოიპოვებს როგორც ბრალდებულის გამამტყუნებელ, ისე გამამართლებელ მტკიცებულებებს.

გამოძიება ვალდებულია დაადგინოს ჭეშმარიტება საქმეზე მხარეთა ნებისაგან დამოუკიდებლად.¹⁰⁵ ხოლო, რაც შეეხება სასამართლოში სამართალწარმოებას, მსგავსად საქართველოს კანონმდებლობისა, ბრალდებულს ეძლევა შესაძლებლობა, ბრალდების მხარის შემდეგ დაკითხოს ბრალდების მოწმეები, ასევე, გამოიძახოს თავისი მოწმეები და დაკითხოს ისინი, სასამართლოში.

¹⁰⁴ რ. ვოგლერი, პროკურორებისა და საგამოძიებო ორგანოების ურთიერთმიმართება ორ ანგლო-ამერიკული სამართლის ქვეყანაში: ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი და უელსი, ინგლისი 2017, გვ. 6

¹⁰⁵ კ.ვ. გუცენკო, ლ.ვ. გოლოვო, ბ.ა. ფილიმონოვი, დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბ. 2007, გვ. 389.

მოსამართლე ყველა საგამომიებო მოქმედებას დამოუკიდებლად ახორციელებს, თუმცა, კანონი მას უფლებას ანიჭებს, საჭიროების შემთხვევაში, მოახდინოს ზოგიერთი უფლების დელეგირება სხვა თანამდებობის პირებზე ცალკეულ დავალებათა მიცემით.¹⁰⁶

აუცილებლად სახსენებელია გერმანიის კანონმდებლობა, სადაც სისხლის სამართლის პროცესის სამმხრივი ურთიერთობაა, - სამართალწარმოების დროს ბრალდებული, პროკურორი და სასამართლო.

მხარეები მოქმედებენ შეჯიბრებითობის საწყისებზე, თუმცა სასამართლო განხილვის ეტაპზე ეჭვმიტანილის დაკითხვასა და სასამართლო გამოძიებას ახორციელებს სხდომის თავმჯდომარე.¹⁰⁷ გამოძიებასა და სისხლისსამართლებრივ დევნას ახორციელებს პროკურორი. პოლიცია პროკურატურის დამხმარე ორგანოა. დაცვის მხარეს თავისთავად შესაძლებლობა აქვს იყოლოს ადვოკატი, რომელიც მის ინტერესებს დაიცავს, მონაწილეობას მიიღებს ნებისმიერ საგამომიებო მოქმედებაში, სადაც ბრალდებულის მონაწილეობაა აუცილებელი. საინტერესოა ის, რომ სასამართლოში პროცესის მიმდინარეობისას, დაცვის ადვოკატი მისი სამართლებრივი მდგომარეობით ბრალდებულს უთანაბრდება.

ანგლო-ამერიკული და კონტინენტურ-ევროპული სამართლის სისტემებს შორის დასახელებული განსხვავებების მიუხედავად, ეს ორი სისტემა ერთმანეთს ძალიან უახლოვდება. ორივე მათგანისათვის მნიშვნელოვანია სიმართლის დადგენა სამართლიანი პროცესის უზრუნველყოფით. კონტინენტურ ევროპაში შეიმჩნევა თანდათან შეჯიბრებითი მოდელისაკენ სწრაფვის ტენდენციები. ამის მაგალითია თუნდაც გამოძიების მოსამართლეების საქმეში აქტიურობის რაოდენობის მკვეთრი შემცირება.

მიუხედავად იმისა, თუ რომელი სამართლის სისტემაა უკეთესი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ანგლო-ამერიკულ სამართლის სისტემაზეა აგებული, თუმცა, მისთვის დამახასიათებელი თავისებურებების გათვალისწინებით და არ არის ზუსტად გადმოღებული დასავლური მოდელისაგან.

¹⁰⁶ კ.ფ. გუცენკო, ლ.ვ. გოლოვო, ბ.ა. ფილიმონოვი, დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბილისი 2007, გვ. 431

¹⁰⁷ იქვე, 524

თავი V. კვლევის შედეგები

კვლევის თითოეული თავი დაწერილია თეორიულ მასალაზე დაყრდნობით, რომელთა ანალიზსაც მივყავართ საბოლოო შედეგებამდე. ნაშრომის პირველი თავი ეთმობა სწორედ იმ თეორიული მასალის, გამოყენებული ლიტერატურის მიმოხილვას, რომელსა ანალიზმაც საშუალება მოგვცა დასახული მიზნებისათვის მიგვეღწია.

შემდეგი თავი ეთმობა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპის თეორიულ საკითხებს, სადაც განხილულია აღნიშნული პრინციპის ცნება და მისი მნიშვნელობა სწორი მართლმსაჯულების განხორციელების თვალსაზრისით. მეორე თავი ასევე ეხება სისხლის სამართლის განვითარების ისტორიას, სადაც განხილულია ის ოთხი მნიშვნელოვანი საპროცესო ფორმა, რომელიც დროისა და საზოგადოების განვითარების დონის ცვლილების კვალდაკვალ იცვლებოდა და ვითარდებოდა. ამავდროულად, განხილულია ქართული შეჯიბრებითი პროცესის ისტორიული ექსკურსი, რომელიც სათავეს საბჭოთა სამართლიდან იღებს და დროთა განმავლობაში ამ პრინციპის განმტკიცება ჯერ კონსტიტუციაში მოხდა, ხოლო შემდეგ სისხლის სამართლის სამართალშიც აისახა.

მომდევნო თავი კვლევის უმნიშვნელოვანეს რგოლს წარმოადგენს, რადგან აქ განხილულია შეჯიბრებითობისა და თანასწორობის როლი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში. ვინაიდან შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპი მოქმედებს როგორც გამოძიების, ისე სასამართლოს ეტაპზე, აღნიშნული თავი იწყება შეჯიბრებითობისა და თანასწორობის მოქმედებით გამოძიების სტადიაზე. საუბარია იმაზე, რომ კანონმდებლობით ორივე მხარეს მინიჭებული აქვს უფლება თანაბრად ჩაატარონ საგამოძიებო მოქმედებები და მოიპოვონ მტკიცებულებები, თუმცა, ჩანაწერის მიუხედავად, ვხვდებით უთანასწორო მდგომარეობას, როცა ერთი მხარე მეორესთან შედარებით არახელსაყრელ მდგომარეობაშია და შესაბამისად, გამოკვეთილია აღნიშნული პრინციპის რეალიზების პრობლემები გამოძიების სტადიაზე. ამასთან, გაანალიზებულია თითოეული უთანასწორო მდგომარეობის გამომწვევი მიზეზები და შემუშავებულია რეკომენდაციები მხარეთა თანასწორობის ბალანსირებისათვის.

სისხლის სამართალწარმოების შეჯიბრებითი ხასიათი, ვინაიდან თავისი არსით გამორიცხავს მოსამართლის ჩართულობას საქმის წარმოების მიმდინარეობისას, განხილულია ინკვიზიციურ მოდელთან მიმართებით, სადაც მოსამართლე აქტიურადაა ჩართული პროცესში და შესაძლებლობა აქვს მტკიცებულებები თავად მოიპოვოს, რათა სიმართლე დაადგინოს.

შეჯიბრებითი სამართალწარმოების დროს კი, მოსამართლეს შეზღუდული როლი აქვს და მხოლოდ დამაზუსტებელი კითხვის დასმით შემოიფარგლება, ისიც მხარეთა თანხმობის შემდეგ. განხილულია რა პრობლემები შეიძლება გამოიწვიოს მოსამართლის ასეთმა პასიურმა როლმა. აღნიშნულთან მიმართებით ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ ვინაიდან საქმის ბედი დამოკიდებულია მხარეთა პაექრობაზე, ხშირია შემთხვევები, როცა დაცვის მხარე სუსტია, ვერ იძიებს საჭირო მტკიცებულებებს და ვერ წარმართავს პროცესს ხარისხიანად, ხოლო მოსამართლეს არ აქვს შესაძლებლობა დაეხმაროს მას, თუნდაც ამაზე იყოს დამოკიდებული სიმართლის დადგენა.

შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპის მოქმედების პირობებში მოსამართლის როლის გვერდით ასევე განხილულია, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, სადაც შეჯიბრებითობის პრინციპი გამოკვეთილად აისახება, ვინაიდან მხოლოდ მხარეებზეა დამოკიდებული ნაფიც მსაჯულთა მიერ მიღებული გადაწყვეტილება. მიუხედავად ამისა, ნაშრომში გამოიკვეთა, რომ არაპროფესიონალი ადამიანების მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომლებსაც სამართლებრივი განათლება არ აქვთ, საფრთხის მატარებელია, ვინაიდან ისინი მხოლოდ საკუთარი განცდებისა და ემოციების საფუძველზე მოქმედებენ და ძირითადად ობიექტურ გადაწყვეტილებას ვერ იღებენ, რაც ზრდის შეცდომების დაშვების რისკს.

ბოლოს, განხილულია საერთაშორისო კანონმდებლობა, ერთი მხრივ შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპის მოქმედება ანგლო-ამერიკულ სამართლის სისტემაში, ხოლო მეორე მხრივ კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემაში. მსგავსი დაყოფა ემსახურება მათ განსხვავებულ საპროცესო ფორმებს. კვლევის შედეგად თვალსაჩინო გახდა, რომ მიუხედავად სამართლებრივ სისტემებს შორის განსხვავებისა, როგორცაა ანგლო-ამერიკულისათვის დამახასიათებელი შეჯიბრებითი სამართალწარმოება, ხოლო კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემისათვის ინკვიზიციური მოდელის არსებობისა, ისინი მაინც ემსგავსებიან ერთმანეთს. პარალელურად, გააზრებულია ამ ორი სამართლებრივი სისტემისათვის დამახასიათებელი ნიშნების მსგავსება და განსხვავება ადგილობრივ კანონმდებლობასთან მიმართებით.

დასკვნა

კვლევის საფუძველზე, დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპი რამდენად მნიშვნელოვანი და აუცილებელიცაა სამართლიანი მართლმსაჯულების უზრუნველსაყოფად, იმდენადვე სჭირდება ყურადღების დათმობა, ვინაიდან თავისი არსით შეჯიბრებითი პროცესი ვრცელი და სადაო საკითხია, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული საკითხი შესწავლილია არაერთი მეცნიერის მიერ.

2010 წელს ძალაში შესული საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ერთმნიშვნელოვნად პროგრესული ნაბიჯი იყო სამართლებრივი კუთხით. ინკვიზიციურ მოდელზე უარის თქმა და შეჯიბრებითობის დანერგვა იყო ერთგვარი გამოწვევა, რომლისთვისაც ქართულ კანონმდებლობას უნდა გაემძო.

აღნიშნული ცვლილებების შედეგად, პროცესის უმნიშვნელოვანეს რგოლს წარმოადგენენ მხარეები და არა მოსამართლე. უხეშად რომ ვთქვათ, შეჯიბრებითი პროცესი არის ბრძოლა, სადაც უძლიერესი იმარჯვებს. ეს ყოველივე დღევანდელ რეალობას რომ მივუსადაგოთ, იმარჯვებს ის, ვისაც უკეთესი მტკიცებულებები აქვს მოპოვებული, ეს უკანასკნელი კი საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების შედეგად ხდება. კანონმდებელმა მხარეებს მიანიჭა თანაბარი უფლება-მოვალეობები საგამოძიებო მოქმედებები განახორციელონ, სხვაგვარად შეუძლებელი იქნებოდა შეჯიბრებითობაზე საუბარი, თუმცა, ამავდროულად დაცვის მხარეს ზოგიერთი საგამოძიებო მოქმედების განხორციელების შესაძლებლობა ან ნაწილობრივ ეზღუდება, ან სრულიად არ აქვს.

ნაშრომზე მუშაობისას გამოიკვეთა ის საგამოძიებო მოქმედებები, სადაც მხარეთა შორის დარღვეულია თანასწორობა. ყველაზე დიდი უთანასწორობა ჩანს იქ, სადაც დაცვის მხარე სრულიადაა მოკლებული რომელიმე კონკრეტული საგამოძიებო მოქმედების განხორციელების შესაძლებლობას. მხარეთა მიერ მტკიცებულებების გაცვლა, ექსპერტის დასკვნის გადაცემის ვალდებულება ბრალდების მხარისათვის, უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე მყოფი პირის ელექტრონული საშუალებებით გამოკითხვა, პირველადი გამოკვლევის უფლება, ფარული საგამოძიებო მოქმედებები, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებები, ეს ის მოკლე ჩამონათვალია, სადაც მხარეთა შორის შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევა ხდება გამოძიების სტადიაზე.

ერთი შეხედვით ამ უთანასწორო მდგომარეობისა, თითოეული საგამომიებო მომქედების ანალიზის, მათ შორის უთანასწორო მდგომარეობის გამომწვევი მიზეზებისა და თავად თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის არსის ანალიზის შედეგად, შესაძლებელია იმის თქმა, რომ სისხლის სამართლის პროცესში მხარეთა თანასწორობის უფლება არ გულისხმობს ბრალდებისა და დაცვის მხარის სრულ გათანაბრებას და ეს შეუძლებელიცაა.

მიუხედავად იმისა, რომ ნაშრომზე მუშაობისას, მხარეთა შორის უთანასწორო მდგომარეობის აღმოჩენისა და პრობლემური მხარის ანალიზის შემდეგ შემუშავებული მაქვს რეკომენდაციები, თუ როგორაა შესაძლებელი აღნიშნული უთანასწორობები აღმოიფხვრას, მიმაჩნია, რომ მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის დარღვევად არ უნდა ჩაითვალოს დაცვის მხარისთვის ისეთი საგამომიებო მოქმედებების ჩატარების აკრძალვა, რომელიც თავისი არსით საგამომიებო ორგანოების უფლებამოსილებაა, ვინაიდან ასეთი ღონისძიებების დროს ხდება ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებში ჩარევა. შესაბამისად, მსგავსი საგამომიებო მოქმედებები უნდა ჩატარდეს მხოლოდ საგამომიებო ორგანოების მიერ სასამართლოს კონტროლით.

სხვა შემთხვევაში, თანასწორობის უფლება გაგებული უნდა იყოს იმგვარად, რომ მხარეებს გონივრულ ფარგლებში თანაბარი შესაძლებლობები მიენიჭოთ. დაცვის მხარე უნდა აღიჭურვოს იმგვარი საპროცესო უფლებებით, რომ ბრალდების მხარესთან კონკურენცია მოახერხოს და შემლოს ზეგავლენა მოახდინოს სასამართლოს გადაწყვეტილებაზე. ამ მიზნის მისაღწევად კანონმდებლობა იმგვარად არ უნდა იყოს მოწესრიგებული, რომ ბრალდების მხარე ჩადგეს უპირატეს მდგომარეობაში და მიენიჭოს ისეთი პრივილეგიები, რომელთა დაბალანსებაც ვერ მოხერხდება პროცესის მსვლელობისას და შედეგად, დაცვის მხარე აღმოჩნდება არსებითად უარეს სამართლებრივ მდგომარეობაში. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა კი, მაქსიმალურად მიზანიმართულია მსგავს მდგომარეობაში არ აღმოჩნდეს დაცვის მხარე და უფლებათა გადანაწილებით, შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპი მხარეებს შორის მაქსიმალურად ბალანსირებულია.

გამოყენებული ლიტერატურა

მონოგრაფიები:

1. აქუბარდია ი., მხარეთა თანასწორობა და მოსამართლის როლი შეჯიბრებით სამართალწარმოებაში, მზია ლეკვეიშვილის 85 წლის საიუბილეო კრებული, თბ, 2017;
2. აქუბარდია ი., შეჯიბრებითობის ქართული მოდელის ზოგიერთი ასპექტი. გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი, 2016;
3. აქუბარდია ი., გოგშელიძე რ., ფაფიაშვილი ლ., სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები), მეორე გამოცემა, თბ., 2009;
4. ბენიძე დ., შეჯიბრებითობა სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2012;
5. გაბისონია ი., ნაფიც მსაჯულთა, მაგისტრატთა და მომრიგებელი სასამართლოები, თბ., 2008
6. გაბისონია ი., ნაფიც მსაჯულთა სასამართლო: წარმოშობა-ინსტიტუციონირებისა და თანამედროვე სტატუს-კვოს საკითხები. ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, N5(7), 2005;
7. გუცენკო კ.ფ., გოლოვკო ლ.ვ., ფილიმონოვი ბ.ა., დასავლეთ სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბ., 2007;
8. ეზერი ა., შეჯიბრებითი თუ ინკვიზიციური პროცესი: ოპტიმალური სტრუქტურების ძიებაში. გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი, 2019,
9. ვაჩიშვილი ალ., სამართლის პროცესი, ნარკვევები სისხლის სამართლის პროცესის ისტორიიდან, I ნაკვეთი, თბ., 1955;
10. ვოგლერი რ., პროკურისა და საგამომიებო ორგანოების ურთიერთმიმართება ორ ანგლოამერიკული სამართლის ქვეყანაში: ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი და უელსი, ინგლისი 2017;
11. თოდუა ნ., მხარეთა თანასწორობა საპროცესო კანონმდებლობის ლიბერალიზაციის კუთხით, საქართველოში სისხლის სამართლის კანონმდებლობისა და პრაქტიკის კვლევების კრებული, თბ., 2015;
12. თუმანიშვილი გ., სისხლის სამართლის პროცესის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2014;
13. ლალიათვილი თ., ანგლო-ამერიკული და კონტინენტურ ევროპული სისხლის სამართლის პროცესის სისტემების ჰარმონიული კონვერგენცია და მისი მნიშვნელობა ქართული სისხლის სამართლის სისტემისათვის, ჟურნალი “მართლმსაჯულება და კანონი,” N4(52), 2016;

14. ლეკვიშვილი მ., სასამართლო პროცესი XVII-XVIII საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში. თბ., 1963;
15. ლილუაშვილი თ., „გამართლებს თუ არა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო?!“ ჟურნალი „სამართალი“, N5,4, 1992
16. მამნიაშვილი მ., გახოვიძე გ., გაბისონია ი., სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილი, მეორე გამოცემა, თბ., 2013;
17. მაჭარაშვილი ვ., საადვოკატო გამოძიება: თეორიისა და პრაქტიკის პრობლემები, თბ., 2018
18. მეფარიშვილი გ., ცხოვრება და კანონი. თბ., 2008;
19. მსხილაძე ლ., დაცვის მხარის როლი შეჯიბრებით სამართალწარმოებაში. ჟურნალი „ადვოკატი“ N3-4, 2014,
20. ნიპარიშვილი ბ., ბრალდებულის დაუსწრებლად სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვა და პროცესის შეჯიბრებითობა, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, თბ., 2016;
21. ტრექელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2009;
22. უგრეხელიძე მ., ჰაინრიხ ბიოლის ფონდში 2010 წლის 3 ნოემბერს გამართული საჯარო დისკუსია თემაზე: „ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი საქართველოში“
23. ფალიაშვილი ალ., სისხლის სამართლის პროცესი, თბ., 2002;
24. ფაფიაშვილი ლ., თუმანიშვილი გ., კვაჭანტირაძე დ. და სხვები, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარი (2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით), თბ., 2015;
25. ფაფიაშვილი ლ., ივანიძე მ., აქუბარდია ი. და სხვები, საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი, კერძო ნაწილი. თბ., 2017;
26. ჩაკვეტაძე გ., მოსამართლის როლი შეჯიბრებითობის პრინციპით აგებულ ქართულ სისხლის სამართლის პროცესში (დამოუკიდებელი არბიტრი თუ სამართლიანი მსაჯული), ჟურნალი „თანამედროვე სამართლის მიმოხილვა“, N1(2), თბ., 2014
27. ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბ. 2004;
28. ჰეგერი მ., ადვერსალური და ინკვიზიციური ელემენტები ევროპული სახელმწიფოების სისხლის სამართლის პროცესის კანონმდებლობებში, როგორც სისხლის საპროცესო სამართლის ევროპეიზაციის გამოწვევა, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი, 2016;

უცხოური ლიტერატურა:

29. Гегель Г., Философия права, „ Мысль,“ 1990;
30. Мещеряков Ю. В., Формы уголовного судопроизводства. 1990;
31. Смирнов А.В ., Уголовный процесс, Москва, 2008 ;
32. Смирнов А. В., Модели уголовного процесса, 2000;
33. Строгович М.С., О дознании и предварительном следствии и о едином следственном аппарате- социалистическая законность;
34. Фойницкий И.Я., Курс уголовного судопроизводства, В 2-х томах, Спб. „Альфа,“ 1996;
35. Чельцов-Бебутов М. А., Очерки по истории суда и уголовного процесса в рабовладельческих, феодальных и буржуазных государствах, Т. 1. М. 1957;
36. Craig M., Bradley, Criminal Procedure (A Worldwide Study), Second Edition, North California, 2007;
37. Duff A., The Trial on Trial: Volume 3: Towards a Normative Theory of the Criminal Trial, Hart Publishing, 2007;
38. Durston G., ‘The Inquisitorial Ancestry of the Common Law Criminal Trial and the Consequences of its Transformation in the 18th Century’, 5 Griffith Law Review, 1996;
39. Erin C., Blondel, Victim`s Rights in an Adversary System, Duke Law Journal, Vol. 58, No. 2. 2008;
40. Lirieka Meintjes van der Walt, Comparative method: Comparing legal systems and/or legal cultures? 2006;
41. Ringalda A., Inquisitorial or Adversarial? The role of the Scottish prosecutor and special defences, Utrecht Law Review, Vol.6, Issue 1, 2010;
42. Sanders A., From Suspect to Trial, The Oxford handbook of Criminology, 5th edn. Oxford University Press, 2012
43. Seipp D., ‘The Distinction between Crime and Tort in the Early Common Law’, Boston University Law Review, Vol. 76, 1996
44. Weigend T., Should We Search for the Truth, and Who Should Do It, North Carolina Journal of International Law and Commercial Regulation, Vol. 36, No. 2, 2011;
45. Wetzstein T., Heilige vor Gericht, Das Kanonisationsverfahren im europäischen Spätmittelalter, 2004;
46. Faustin Helie, Traite de l`instruction criminelle, ou theorie du code d`instruction criminelle. En 3.Vol.V.I.Brutelles, 1863;

სასამართლო პრაქტიკა:

47. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება, საქმეზე „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
48. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2014 წლის 23 მაისის გადაწყვეტილება, საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
49. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2015 წლის 29 სექტემბრის #3/1/608,609 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე“;
50. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2018 წლის 14 დეკემბერის გადაწყვეტილება, საქმეზე ტიტკო ჩორგოლიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, №1/4/809;
51. Ruiz-mateos v. Spain, ECtHR, N12952/87, 1993;
52. Foucher vs France, N 22209/93, 1997;
53. Yvon v. France, ECtHR, N44962/98, 2003;
54. Hudakova and Others v. Slovakia, ECtHR, N23083/05, 2010;
55. Leas v. Estonia, ECtHR, N59577/08, 2012;

ნორმატიული აქტები:

56. საქართველოს კონსტიტუცია, 1995;
57. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009;

58. საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, №3157-რს, საქართველოს პარლამენტი, 20/07/2018;
59. საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ, №5186-I, 17/10/2019;
60. საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, №5862-III, საქართველოს პარლამენტი, 20/03/2020;

ვებ. გვერდები:

61. <https://matsne.gov.ge>;
62. <http://www.austlii.edu.au/au/journals/GriffLawRw/1996/7.pdf>;
63. <https://dgtz.de/storage/documents/gyl9rm5lwyTSsMVtxwoOdgWIu9yj2ePFNGnCX04P.pdf>;
64. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3566537?publication=0>;
65. <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/224257>;
66. <https://www.jstor.org/stable/40040652?seq=1>.